ეროვნული ბიბლიოთეკა

15

საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

რედაქცია და კონტორა:
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 11 რედაქცია და კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის.
ტელეფონი № 15—73.
მისამართი დეპეშებისათვის: თბილისი „საქართველო" ფოსტის ყუთი № 76

განცხადებანი:
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 20 მ. მე-4 გვერდზე—15 მ.
სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—700 მ. 2 ნახ. საათის შემდეგ 100 მანეთით მეტი.

ხელის-მოწერა:
გაზეთი „საქართველო" ქალაქში და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—600 მან. ცალკე №—25 მან.

ფასი 25 მან.

წელიწადი მეშვიდე. ხუთშაბათი, იანვრის 13. 1921 № 8

მოითხოვეთ ყველგან საუკეთესო ხარისხის

კონიაკი

გაწმენდილი პურის არაყი და ტკბილი სასმელები დ. ი. კალანდაძისა
ბითუმად და ცალ-ცალკე თვით ქარხანაში სადგურის (ვაგზლის) ქ. № 5.

სამეგრელოს სავაჭრო-სამრეწველო ბანკი—

(მეგრბანკი)

რომლის ძირითადი თანხა არის **ხუთი მილიონი მანეთი (5.000,000)**

თითო აქცია ღირს 1.000 მან. და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად 100 მან. თითო ხმის უფლებას ანიჭებს 10 აქცია. ამ თავითვე შემოტანილ უნდა იქნას აქციის ნახევარი ღირებულობა 500 მან. და საორგანიზაციო ხარჯებისთვის 100 მან. ე. ი. თითო აქციაზე 600 მანეთი.

საზოგადო ოფიციალურ ხელის მოწერა აქციებზე და ფულის შემოტანა დანიშნულია ამა იანვრის 13 დღით ხუთშაბათიდან—იანვრის 18 სამშაბათამდე 1921 წ.; **სენაკში—საურთიერთო ბანკში, თბილისში—ცენტრობანკში, ბათომში—ცენტრობანკის განყოფილებაში და ფოთში—ქართულ სავაჭრო ბანკი.**

ყოველივე შეკითხვის გამოგზავნა შეიძლება სენაკის საურთიერთო ბანკში.

3379 4—1

სამეგრელოს სავაჭრო-სამრეწველო ბანკის საორგანიზაციო კომიტეტი.

არა-სოციალისტურ დემოკრატიულ პარტიათა გაერთიანებული

კონფერენცია

1. კონფერენციას იწვევს საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული, მიწის მესაკუთრეთა ეროვნული და რადიკალ დემოკრატიული პარტიები.

2. კონფერენცია გაიმართება საქართველოს დედა-ქალაქში თბილისში 1921 წლის იანვრის 23-ს, და გაგრძელდება 3 დღე.

3. კონფერენციაზე გამოსაგზავნი დელეგატები აირჩევიან ადგილობრივ არა-სოციალისტურ პარტიათა ორგანიზაციების წევრთა შეერთებულ კრებაზედ, პიროვნულად.

4. თითეული დელეგატი აირჩევა ორას პარტიულ წევრზე, ხოლო არა უმეტეს 1 დელეგატისა არა სოციალისტური პარტიების მიერ დამფუძნებელი კრების არჩევნებში მიღებულ ყოველ სამას ხმაზე.

5. ამ კონფერენციის მიხედვით, თანახმად მთავარი კომიტეტების ცნობებისა, საერთო რიცხვი დელეგატებისა ნავარაუდევია 160 კაცი, გარდა მთავარი კომიტეტების წევრებისა

6. კონფერენციის წევრთა არჩევნებს ხელმძღვანელობენ ადგილობრივი სამაზრო ან სარაიონო კომიტეტები, თანახმად ამავე ინსტრუქციის მე-4 მუხლისა

7. დელეგატების არჩევნების შესახებ მთელს რაიონში სდგება სათანადო ოქმი, რომელსაც ხელს უნდა აწერდნენ ამ რაიონში არსებული არა სოციალისტური დემოკრატიული ორგანიზაციები.

8. ყოველი დელეგატი უზრუნველყოფილი იქნება ბინით.

9. კონფერენციის მოწვევის საქმეს ხელმძღვანელობს ცენტრალური საკონფერენციო კომისია, რომელიც შედგენილია ზემოხსენებულ პარტიათა ხელმძღვანელ ორგანოთა წარმომადგენელთაგან.

მისამართი: დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5. ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტის ბიურო.

კონფერენციის წესრიგი.

1.

განცხადება ცენტრალური საკონფერენციო კომისიისა პარტიათა გაერთიანების შესახებ და ამ განცხადების განმარტებანი პარტიათა წარმომადგენლების მიერ

2.

მოხსენებანი მომენტის შესახებ: 1) საშინაო მდგომარეობა, 2) საგარეო მდგომარეობა და 3. ეკონომიური მდგომარეობა.

3.

1. პროგრამა და წესდება, 2. საარჩევნო მუშაობა, 3. არჩევნები მთავარ-კომიტეტისა და სარევიზიო კომისიისა·

საკონფერენციო კომისია.

მიიღება ხელის მოწერა 1921 წლისთვის ორკვირეული ჟურნალი.

წლიწადი მეორე „ერობა"-ზე წლიწადი მეორე

ორგანო ერობათა კავშირის კომიტეტისა. ჟურნალი მიზნად ისახავს ერობის ცხოვრების თეორიული და პრაქტიკული საკითხების ყოველ მხრივ გარკვევა—გაშუქებას.

რედაქცია იმყოფება: რუსთაველის პრ. № 24
ერობათა კავშირის კომიტეტის ბინა. 3—1

სახალხო
ოპერა

ხუთშაბათს 13 იანვარს
ბოჰემა
პარასკევს 14 იანვარს
„სიმფონიური კონცერტი"
ბოროვსკის და მელითუსოვის მონაწილეობით.
შაბათს 15 იანვარს
ოპერა მუშებისათვის
კვირას 16 იანვარს
აბესალომ და ეთერი

ოპერის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთაველის პრ., № 21, ტელ. 8—07).

შაბათს, იანვრის 15-ს პრემიერა!
პირველად

მარიამ მაგდალინელი

ვლ. ალექსი-მესხიშვილის მიზანსცენებით:
მონაწილეობს მთელი დასი
მხატვარი [illegible]
მთავარი რეჟისორი ზ. [illegible]
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ამ წარმოდგენისათვის აღებული ბილეთები 8 იანვრის თარიღით გამოდგება 15 იანვარს.

სახელმწიფო დრამის თეატრი

ხუთშაბათს, იანვრის 13-ს მეექვსედ ბერდო-ზმანია
პირველად შაბათს, იანვრის 15-ს

მარიამ მაგდალინელი

ვლ. ალექსი-მესხიშვილის მიზანსცენებით
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ბილეთები კასაში.

საიუბილეო წარმოდგენა

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის
სახალხო სახლი
სახალხო სახლთან არს ქართ. წარმოდგენების მმართველი წრე.
შაბათს, 15 იანვარს 1921 წელს

ელისაბედ (სოფიო) რომანიშვილი—დგებუაძისა
20 წ. სცენაზე მოღვაწეობის აღსანიშნავად გაიმართება იუბილეი

წარმოდგენილი იქნება

ღალატი

დრამა-ლეგენდა 5 მოქმედებად ა. ი. სუმბათაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი: ბარათაშვილი, გოგოლაშვილი, რომანიშვილი დგებუაძისა, ნიბლია, ჩერქეზიშვილი. ბ-ნი: ნ. გოცირიძე, სალაყაია, ნ. ჭანკვეტაძე, ა. მეტრეველი, გ. მინდიაშვილი, ალ. თავდგირიძე, ი. ზურაბიშვილი შანშიაშვილი და სხვანი.
რეჟისორი კ. შათირიშვილი.
ზეინაბის როლს შეასრულებს ს. რომანიშვილი-დგებუაძისა.

იანვრის 7-დან ქ. ქუთაისში გამოვ. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყოველდღიური გაზეთი

ეროვნულ-დემოკრატი.

სტუდენტთა კავშირის გამგეობა სთხოვს

სტუდენტებს

26 იანვრის

სტუდენტთა დღის

ჟურნალისათვის მოაწოდონ მასალა სტუდენტთა სასადილოში

განცხადება

მაქვს პატივი ამით ვაუწყო ერობათა, კოოპერატივთა, სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებს, რომ ჩემს მიერ გახსნილი იქნა ამა 1921 წლის პირველ იანვრიდან

სავაჭრო, სააგენტო-საკომისიო

კონტორა

ა. ს. ლორთქიფანიძისა,

რომელიც მოთავსებულია დამფუძნებელ კრების ქ. № 5, მეორე სართულში, თბილისის კოოპერატივთა კავშირის გვერდზე.

მიღებულია შემდეგი საქონელი:

შაბიამანი ინგლისური საუკეთესო ხარისხისა;
ნიშადური (ნაშატირი) ,, ,,
ხერხები—ბირდაბირები გერმანული მარკისა;
კოჭის ძაფები;
ასანთი საუკეთესო ხარისხისა;
ხელის საპონები ოდესისა;
საკოსტუმო შალი და სხვა.

ფასები ყველა საქონელზე დანიშნულია მინიმუმი.

კონტორა ღია არის დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 ნახევარ საათამდე.

პატივისცემით ალ. ს. ლორთქიფანიძე.

3—3340—3.

ხუთშაბათს, 13 იანვარს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია სტუდენტთა კავშირის არა ჩვეულებრივი

კრება

წევრების დასწრება აუცილებელია.

შესაძლებელია ,,ამიერ-კავკასიის‘‘ კონფერენცია?

ფრიად მნიშვნელოვანი წინადადებით მიუმართავს ანგორის მთავრობას რუსეთისათვის და ამის გამო საჭიროა გარკვეული აზრის გამოთქმა იმდენად, რამდენადაც ანგორის წინადადება ეხება ჩვენს სახელმწიფოსაც: ანგორის მთავრობა სთხოვს საბჭოთა რუსეთს მიიღოს ზომები ამიერკავკასიის სახელმწიფოთა კონფერენციის შეკრებისათვის.

ამიერკავკასიის სახელმწიფოთა კონფერენციის იდეა არ არის ახალი: ამ სახელმწიფოთა რუსეთისაგან გამოყოფის შემდეგ არა ერთჯერ მოწვეული ყოფილან მათი წარმომადგენლები სათათბიროდ სხვა და სხვა დიდ პოლიტიკურ საკითხების გამო. განსხვავება ეხლანდელსა და მაშინდელ დროის შორის იმაშია, რომ წარსულში კონფერენციის მოწვევის საკითხი დასმული ყოფილა თვით ამ სახელმწიფოების მიერ სხვების ჩაურევლად, მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ საერთო მეგობრული შეთანხმება ამა თუ იმ საკითხში იმ დროს ცხოვრების მსვლელობას დაუწყვეტს და თუ შეთანხმება ყველა საკითხებში ვერ იქნა მიხწეული, ამის მიზეზი სულ სხვა გარემოებაში უნდა ვეძიოთ.

„საქართველო“-ს მკითხველებს ეხსომებათ, რომ წარსულშიაც ჩვენ ეჭვი ვებადებოდა კონფერენციების ნაყოფიერებაში იმ მოსაზრებით, რომ უნაყოფოა ყოველთვის სხვა და სხვა პრობლემების გადაწყვეტის ცდა, უკეთუ უმთავრესი საკითხები გადაუჭრელი დგას სახელმწიფოთა წინაშე. ასეთ უდიდეს საკითხად ჩვენ მაშინაც ვთვლიდით— და ეხლაც იმავ აზრისა ვართ—ტერიტორიულ საკითხს. ამ საკითხმა იმ თავითვე დაუსრულებელი აურზაური გამოიწვია და იყო მთავარი საბაბი თითქმის ყველა უთანხმოებისა და შეიარაღებულ კონფლიქტისა, და განა დღესაც შეცვლილა გარემოება? განა ისევ ის დაწყევლილი საკითხი ეხლაც არ უთხრის ძირს ამიერკავკასიის სახელმწიფოთა მყუდროებას? განა საზღვრების მტკიცე ამოუხსნელობა იმ ,,ასაფეთქებელ მასალას‘‘ არ წარმოადგენს, რომელსაც მუდამ ჟამს შეუძლიან ცეცხლის კოცონი მოსდოს ქვეყანას და მთლად მოსპოს სახელმწიფოებრივი ურთიერთობის ნასახიც კი?! განა ესოდენი ხნის მწარე გაკვეთილებმა საკმარისად არ დაგვიმტკიცეს, რომ ფუჭია შეთანხმება სხვა და სხვა საკითხებში, თუ სახელმწიფო საზღვრები ისევ სადაო დარჩება?!

წინა კონფერენციებმა ვერ შესძლეს ტერიტორიული დავის გადაწყვეტა, თუმცა უნდა ითქვას, რომ პოლიტიკური პირობები საზოგადოთ და შინაგანი სიტუაცია თვითეული სახელმწიფოსა მეტად უწყობდა ხელს სადაო საკითხების შეთანხმებით გადაწყვეტას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ყოველ ჟამს, შემთხვევაში ცდილობდა კონფლიქტი მეზობელ სახელმწიფოსთან მშვიდობიანი მორიგებით დაესრულებინა, მას მაინც არ ასცდა ომი არც ერთ მეზობელთან, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც სისხლის ღვრამ მოუღო ბოლო ჩვენს დავას: ზაქათალა და ბორჩალოს აზრის ეგრედ წოდებული ნეიტრალური ზონა დღესაც ელიან თავის კანონიერ პატრონის მისვლას...

საჭიროდ ვთვლით, რაკი სიტყვამ მოიტანა, კიდევ განვიმეოროთ, რომ საქართველოს მთავრობამ ვერც დიპლომატიური მოლაპარაკება და ვერც მით უმეტეს ბრძოლის ველზე მიხწეული შედეგები ვერ გამოიყენა: სათქმელი დროზე ვერა სთქვა, გასაკეთებელი დროზე ვერ გააკეთა!

როგორ აპირებს ანგორის მთავრობა დღევანდელს პირობებში შეათანხმოს ამიერკავკასიის სახელმწიფონი? რა უნდა დაედოს საფუძვლად მომავალ მოლაპარაკებას? რა საგანი უნდა იყოს კონფერენციის დღის წესრიგის ღერძად? არსებობენ კი ამიერკავკასიის სახელმწიფოები? ვინ არ იცის, რომ დღეს მთელს კავკასიაში არსებობს მხოლოდ და მხოლოდ ერთი პოლიტიკური ერთეული, რომელსაც სახელმწიფოს სახელწოდება შეიძლება მიენიჭოს ეს არის საქართველოს რესპუბლიკა! ხოლო ვინ იტყვის, რომ აზერბაიჯანი და სომხეთი ბოლშევიკურ გადატრიალების შემდეგ დამოუკიდებლად არსებობენ?! ნუ თუ ანგორის მთავრობას გულწრფელად სჯერა, რომ მომავალ კონფერენციაზე ეს ორი ,,სახელმწიფო‘‘ გამოვა თავის საკუთარ აზრით და დამოუკიდებლად შეუდგება დასმულ პრობლემათა გადაჭრას? ხომ ცხადია ყოველ საქმეში ჩახედულ ადამიანისთვის, რომ დღევანდელი სახის აზერბაიჯანი და სომხეთი მხოლოდ იმას წამოიჩხავლებენ, რასაც მათ მოსკოვი ჩასძახებს? უკანასკნელი ,,ნოტები‘‘ სომხეთ აზერბაიჯანისა ნათლად გვიჩვენებენ, რომ არც ერთ მათგანს არავითარი გამოსვლა არ შეუძლიან, თუ წინდაწინვე მოსკოვის კომისარიატის ,,ლოცვა-კურთხევა‘‘ არ გამოითხოვეს. გუშინდელი რ. ს. ფ. ს. რ. ნოტა, რომელსაც, სხვათა შორის, ხელს აწერს საქართველოს ქვეშევრდომი ს. ქავთარაძე, პირდაპირი მაჩვენებელია, რომ ამიერკავკასიის ორ ,,განათლებულ‘‘ რესპუბლიკის ფაქტიური ბატონი არის ისევ ის კომუნისტური რუსეთი: აზერბაიჯანი ნავთის პროდუქტების გამოგზავნას საქართველოში უკანონოდ სპობს და ამ გარემოების დასაბუთებასა და ახსნას თავზე იდებს რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი! და განა მარტო ეს მაგალითი გვიმტკიცებს აზერბაიჯან—სომხეთის პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ არარაობას? ყოველი ცისმარა დღე ამის მაგალითებს აუარებელს იძლევა და შემდეგშიც მოიცემა...

ასეთს პირობებში მეტის მეტად საეჭვოა, რომ ანგორის მთავრობის თაოსნობა ხეირიანად დამთავრდეს და მომავალ კონფერენციამ ერთი ხაზით მაინც წინ წასწიოს ,,გაჩერებული ურემი‘‘...

ჩვენ გვაოცებს ანგორის მთავრობის მიზანშეუსაბამი ინიციატივა, ხოლო უფრო გვაოცებს გაზეთ ,,ერთობის‘‘ სასიხარულო აღგზნება ამ წინადადების გამო! რაშია საქმე? ,,სათნოიანი‘‘ ერთობელებისთვის, როგორც სჩანს, წარსულ გამოცდილებას ჭკუა არ უსწავლებია და ისინი ამდენი თვალსაჩინო გაკვეთილების შემდეგაც მოსაბეზრებლად ჰღეჭავენ დაფუტურებულ ფრაზეოლოგიას მშვიდობიანობისა და კეთილმეზობლობის შესახებ. ,,ერთობის‘‘ პუბლიცისტებს სჯერათ, რომ საკმარისია ,,საქართველო მომავალ კონფერენციაზე გამოვიდეს თავისი მშვიდობიანი პოლიტიკით, კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების სურვილით‘‘ და მყისვე ,,შეიცვლება ბუნება‘‘, მგელი და კრავი ერთად მოსძოვენ და დამყარდება ,,ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება‘‘... ,,ერთობის‘‘ აზრით, დღეს აზერბაიჯანსა და სომხეთში ძალა-უფლება ხელთ უპყრია ახალ ხალხს‘‘... მართალია ეს? არავითარ შემთხვევაში! ორივე ,,სახელმწიფოში‘‘ დღეს მოსკოვის ხელისუფლება გამეფებული, ორივენი უსიტყვოდ ასრულებენ იმას, რასაც ბრძანებს მოსკოვი! და მომავალ კონფერენციაზედაც აზერბაიჯანისა და სომხეთის ,,რწმუნებულები‘‘ თავის ,,ხაზეინებს‘‘ ,,ბელი ალას‘‘ შესძახებენ...

ჩვენ ვეთანხმებით ,,ერთობა‘‘ს, რომ ,,გარეშე ძალას არ შეუძლიან ამიერ-კავკასიაში დაამყაროს მშვიდობიანობა‘‘, მაგრამ, საუბედუროდ. ეს გარეშე ძალა, მისი შემოჭრა ამიერ-კავკასიაში უკვე ფაქტია და მას ხელს უწყობდნენ სწორედ აზერბაიჯანი და სომხეთი...

ეხლა განმარტოებულ საქართველოს იწვევენ ამიერკავკასიის ,,სახელმწიფოთა‘‘ კონფერენციაზე.

მაგრამ შესაძლებელია ეს კონფერენცია?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ,,ამიერ კავკასია‘‘ ამ ჟამად ისეთს მდგომარეობაში იმყოფება, რომ წესიერად ვერ მივა მომავალ თათბირზე და რაკი ასეა, ანგორის მთავრობის კეთილი განზრახვაც ცარიელ ოცნებად დარჩება...

გაწამებული ნავთი

ნავთის საკითხი მსოფლიო საკითხად გადაიქცა. მას ყველა ქვეყნები გაფაციცებით დაეძებენ. ამ ქვეყნებ შორის ბევრი არაა ისეთი, რომელსაც ერთი დღის სავალზე, გვერდით, ჰქონდეთ ნავთის უმდიდრესი წყაროები და ნავთის მიღება კი ვერ მოეხერხებინოს.

საფრანგეთს სათბობი მასალა არა აქვს და ინგლისის ქვანახშირს ჰყიდულობს მაღალ ფასებში. საფრანგეთი ბედნიერად ჩა თვლიდა თავის თავს, მას რომ ნავთის ადგილები ჰქონდესისეთ მანძილზე, როგორიცაა ჩვენსა და ბაქოს შორის.

სპარსეთმა ისეთი მდგომარეობა დაიკავა ნავთის მსოფლიო წარმოებაში, რომ ის ეხლა ამზადებს თითქმის 2 პროცენტს ნავთის მსოფლიო წარმოებისას.

ჩვენს დასავლეთით, ზღვის გადაღმა ნაპირზე რუმინიაში ნავთის მოსავალი უდრის, 80 პროცენტს ნორმალ დროის მოსავლისას.

ერთი სიტყვით ყველა ჩვენი მეზობლები ნავთის ქვეყნებია.

მათ შორის ყველაზე უახლოესი და ხელმისაწდომი ჩვენთვის ბაქოა, რომლის წარმოება სხვა მეზობლებთან შედარებით გამოუთქმელად დაცემულია.

ნავთის საჭიროება ჩვენთვის პურის საჭიროებასაც სჭარბობს, რადგან ნავთ მაზუტზეა დამოკიდებული პურის მიღება ჩვენს პორტებში და მისი განაწილება; ნავთ-მაზუტზეა დამოკიდებული მთელი ჩვენი მიმოსვლა და ეკონომიური ურთიერთობა, აღებმიცემობა და წარმოების ნორმალური სვლა შიგნით.

ნავთ-მაზუტზეა დამოკიდებული ამიტომ ჩვენი ექსპორტისა და ვალიუტის საქმეც.

ბოლშევიკები საზოგადოთ და ბაქოს მთავრობა კერძოდ მოწადინებულნი არიან საქართველოს სახალხო მეურნეობა დასცენ. ბოლშევიკები ყოველ მიზეზს ეძებენ ხელზე დასახვევათ, რომ ნავთი არ მოგვცენ, და მით ჩააგდონ ჩვენი მეურნეობა და მთელი ხალხი გაჭირვებულ მდგომარეობაში. ისინი არ ერიდებიან ცოცხალ ტყუილებსაც კი, როდესაც ამბობენ: ,,რაც შეეხება საქართველოს მთავრობის შეკითხვას: რად არიან დაკავებულნი სამარშრუტო მატარებლები და ბრიგადები, მე რწმუნება მაქვს ოფიციალურათ განგიცხადოთ, რომ არც მატარებლები და არც ბრიგადები დატყვევებულნი არ არიან. ისინი მხოლოდ შეჩერებულნი არიან ნორმალ მიმოსვლის აღდგენამდე, რაც დამოკიდებულია საქართველოს მთავრობაზე‘‘.

ჩაუკვირდით ამ ადგილს და თქვენ ნათლად დაინახავთ ბოლშევიკების ნამუსიანობას.

ჩვენი მთავრობა ეკითხება ბაქოსა და მოსკოვის წარმომადგენელს თბილისში, რათ არიან ჩვენი მატარებლები და ცისტერნები და ბრიგადები დაკავებულნი. სრულუფლებიანი წარმომადგენლის თანაშემწე აღმასრულებელი კი ბრძანებს, რომ ისინი არ არიან დატყვევებულნი.

ეს ჩვენც ვიცოდით. ამასთან ერთად ჩვენ ვიცოდით ისიც, რომ ჩვენი ცისტერნები, მატარებლები ბრიგადები სწორეთ, რომ დაკავებულნი იყვნენ და მათ ნაძალადევათ იმსახურებდნენ ბაქოს მესვეურნი თავიანთ ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, წინააღმდეგ ყოველ გვარი უფლებისა და მორალისა.

ამას ვერ ჰფარავს ვერც სრულუფლებიანი წარმომადგენელი, რადგან ბოლოს თვითვე უმატებს ,,ისინი მხოლოდ შეჩერებულ არიან ნორმალ მიმოსვლის აღდგენამდე, რაც დამოკიდებულია საქართველოს მთავრობაზე‘‘. ასეთ აბსურდის თქმა შეუძლია მხოლოდ ბოლშევიკს.

აქედან ცხადია, რომ ჩვენი ქონება უკანონოდ ,,შეჩერებითაა‘‘ ბაქოში, თუმცა ჩვენ უტყუარი ცნობები გვაქვს, რომ ,,შეჩერებით‘‘ საქმე არ გათავებულა და მატარებლებს და ბრიგადებს დარუბანდ. განჯას შუა დაასეირნებენ ადგილობრივ საჭიროების დასაკმაყოფილებლად, ბაქოს შეეძლო მიზეზ გარეშე ნავთი არ მოეცა და გაგზავნილი შემადგენლობა მოუცილებლად უკანვე უნდა დაებრუნებინა თუნდაც ხელცარიელი. მაშინ კიდევ შეეძლო ბოლშევიკურ მთავრობას რაიმე შთაბეჭდილების მოხდენა შეუგნებელ ბრბოებზე მაინც, მაგრამ ,,შეჩერება‘‘, ჩვენი სახელმწიფოს საკუთრების დაკავება და ამუშავება-გამოყენება აზერბაიჯანის საჭიროებისათვის აშკარად ჰხდის ფარდას ბოლშევიკურ მთავრობათა ქვენა გრძნობებსა და ფარულ მიზნებს.

ჩვენ მუდამ ვამბობდით, რომ ბოლშევიკები არასფერში სანდობი არ არიან.

ჩვენს მთავრობას არ უნდა ენდო ბოლშევიკურ მთავრობათათვის ჩვენი ეროვნულ საკუთრების ნაწილი და ისიც ცისტერნები, რომელთა რიცხვი ჩვენში ფრიად მცირეა. მთავრობას აუცილებლად უნდა მოეთხოვა გარანტიები ნავთისა და მაზუტის მისაღებად. მთავრობამ დიდი შეცთომა ჩაიდინა, ერთბაშად რომ იმდენი შემადგენლობა გადაუგზავნა ბაქოს მთავრობას: ბოლშევიკებს ჰქონდათ ნავთი და არ ჰქონდათ საკმარისათ მოძრავი შემადგენლობა ნავთის რუსეთში გადასაზიდავათ. ეს საშუალება ბოლშევიკებს გულუბრყვილოთ ჩაუგდო ხელში ჩვენმა მთავრობამ!

ბოლო ფრაზა რუსეთის ნოტიდან მოყვანილ ციტატისა კიდევ უარესი აბსურდია. გამოდის, რომ ნორმალ მიმოსვლის აღდგენა აზერბაიჯანში დამოკიდებულია ჩვენ მთავრობაზე. საიდან? როგორ? განა შეუძლია ჩვენს მთავრობას რაიმე გავლენის მოხდენა თუ გადაგზავნილ შემადგენლობის უკან დაბრუნება აზერბაიჯანის ნორმალ მიმოსვლის აღდგენაზეა დამოკიდებული?

ეს ფრაზა პირდაპირ გაუგებარია. მაგრამ მას აქვს თავისი დანიშნულება, თუმცა იგი ძალიან აბსურდულია თავის თავად. ბოლშევიკებს ჰსურთ ჩვენს ხალხს ისე მოაჩვენონ საქმე, თითქოს ჩვენი მთავრობა რომ არ უშლიდეს ხელს ბაქოს ბოლშევიკებს, ისინი დიდი ხანია ნავთ-მაზუტს მისცემდენ საქართველოს. ეს არის აშკარა ინსურგენტული დემოგოგია.

გამოცდილებამ ეხლა მაინც უნდა ასწავლოს მთავრობას, რომ სანამ ბოლშევიკები ბატონობენ ჩვენს აღმოსავლეთით და სამხრეთით, ისინი მუდამ ჩვენი დაუძინებელი მტრები იქნებიან და არას გზით არ დაუშვებენ, რომ მათი ტერიტორიიდან ჩვენ შევიძინოთ ნორმალ მშვიდობიან პირობათა აღდგენისათვის საჭირო მასალები, და ისიც კიდევ ისეთი, რომელიც იგივე რუსეთს ძლიერ სჭირდება.

ბოლშევიკები ცდილობენ ჩვენში ამბოხების მოწყობას, ცხოვრების გაძვირებას და არევ დარევას. ნავთისა და მაზუთის მოცემა კი ამ მიზანს ეწინააღმდეგება. ისინი ამაზე არც წავლენ.

მორიგი ამოცანა მთავრობისა იქნება ცისტერნებისა და საზოგადოთ მთელი შემადგენლობის უნაკლულოთ უკანვე დაბრუნება.

ნავთი და მაზუთი კი არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში, ჩვენ თვითონ უნდა დავამზადოთ შიგნით ან სხვაგან ვეძიოთ. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ბოლშევიკებიდან ნურაფერს მოველით მოტყუილების მეტს.

ბ-ნ ნინიძის საქმის გამო.

ბ-ნი ნინიძის საქმე—ანუ, როგორც ამბობენ, დამფუძნებელ კრებაში მომხდარი „სკანდალი“—დიდ მნიშვნელოვან აქტს წარმოადგენს ჩვენი სახელმწიფოს ცხოვრებაში. ეს მნიშვნელობა მარტო იმაში კი არ მდგომარეობს, რომ, როგორც ზოგიერთი ფიქრობს, „ციხე შიგნიდან გატყდა“. არა! მომხდარი ინციდენტი იმით არის საყურადღებო და აწონ დაწონის ღირსი, რომ მთავრობის მოქმედებას სავსებით ახასიათებს. ის ნათლად გვიხსნის საჭირ ბოროტო კითხვას, თუ რამდენად ხორციელდება ჩვენს უფლებრივ სახელმწიფოში კანონიერება.

კულტურულ სახელმწიფოში კანონიერება—რაღა თქმა უნდა—ყოველთვის სარჩულად უნდა ედოს საზოგადოებრივ ცხოვრებას. რასაც უნდა წარმოადგენდეს მოქალაქე დიდ პიროვნებას თუ პატარას,—მისი პიროვნული და ქონებრივი უფლებები ყოველთვის დაცული უნდა იყოს თანახმად არსებული კანონისა. მაგრამ ცხოვრებაში, მოგეხსენებათ, ეს ყოველთვის და ყოველგან ასე არ ხდება. რამდენად მეტ ყურადღებას იმსახურებს თანამედროვე საზოგადოებაში ეს თუ ის მოქალაქე, იმდენად სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელენი მეტ მორიდებას იჩენენ მის შესახებ, იმდენად უფრო ცდილობენ, კანონი არ დაარღვიონ, მისი უფლებები უკანონოთ არ შელახონ. ახლა ვიკითხოთ, ვინ არის ბ-ნი ნინიძე? ის არის ნაფიცი ვექილი. მაშასადამე, ეკუთვნის იმ ინტელიგენტთა წრეს, სადაც ფიზიკური ძალა დავის გადასაწყვეტ იარაღათ არ მიაჩნიათ, სადაც დაინტერესებულ პირს უფრო ადვილათ შეუძლია, თავისი დარღვეული უფლებები კანონიერი წესით აღადგინოს. ის არის დამფუძნებელი კრების წევრი, რომლის ხელშეუხებლობა, შეუვალობა, ჩვენმა მთავრობამაც საჯაროთ აღიარა. ის არის სოციალ-დემოკრატი, ესე იგი წევრი გაბატონებულ პარტიისა, რომელსაც სრული უფლება აქვს, სთქვას: ,,მე ვარ საქართველოს მთავრობა‘‘. აქედან ცხადია, რომ ბ. ნინიძე უბრალო მომაკვდავი არ ყოფილა. ის არის, როგორც იტყვიან, ,,პერსონა გრატა‘‘, არის გარემოცული იმნაირი პირობებით, რომელთა მიხედვით ჩვენს მთავრობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოეჩინა, ყოველივე ზომა უნდა მიეღო, რათა მის შესახებ კანონი არ დარღვეულიყო და მისი უფლებები არ შელახულიყო.

მაგრამ ნინიძის საქმე სულ სხვა სურათს წარმოგვიდგენს. მას ბინა ჰქონდა დაქირავებული, კანონიერად თუ უკანონოდ,—ამ კითხვას მნიშვნელობა არა აქვს. აქ დედა-ძარღვი საქმისა იმაშია, რომ ბინა ფაქტიურად მას ეჭირა. ვთქვათ, მთავრობის წარმომადგენლების თვალში ნინიძე უკანონოთ სარგებლობდა ბინას. რა წესით უნდა გამოეძევებიათ იგი ბინიდან? რასაკვირველია, სასამართლოს წესით, ძალაში შესული განჩინებით. შეიძლება ამ შემთხვევაში მარტო მთავრობის განკარგულებაც ყოფილიყო, მაგრამ იმისთანა განკარგულება, ესე იგი იმისთანა სათანადო ადმინისტრატიული ორგანოს დადგენილება, რომელიც, კანონის ძალით, სავალდებულო იქნებოდა ნინიძისათვის, მაგრამ ამ კანონიერ წესს აქ ადგილი არ ჰქონებია. მთავრობის წარმომადგენლებმა საქმე უფრო მარტივად გადაწყვიტეს: გაგზავნეს მილიციონერები, ისინი შევარდნენ სახლში, სტაცეს ხელი დეპუტატს და ,,მუშტი—კრივი‘‘ ბინიდან გამოაგდეს, მისი ოჯახობაც და ავეჯეულობაც თან მიაყოლეს. გამოდის, რომ მთავრობა კანონს არ უყურებს, თავის მოქმედებას ძალმომრეობაზე ამყარებს. და ეს მაშინაც კი ხდება, როდესაც, როგორც ზევით ვსთქვით, მთავრობას განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოეჩინა მისივე თვალსაზრისით. ვხედავთ, რომ იქაც, სადაც მთავრობისაგან მეტს სიდინჯეს უნდა ჰქონია ადგილი, უკანასკნელმა თავი ვერ შეიკავა. ერთი სიტყვით, კანონის უარყოფა, თვითნებობა, ძალმომრეობის პრინციპი. ადამიანის ყოველგვარი უფლებების გათელვა,—აი ის თვისებები, რომელნიც ძვალ-რბილში გაჯდომია ჩვენ მთავრობას.

მორიელის არ იყოს, ამ ზნეს იგი მეგობრებთანაც ვერ იშლის.—რაც შეეხება სხვა წრის მოქალაქეთ, იმათ შესახებ კანონიერებაზე, მათ უფლებებზე ლაპარაკიც კი ხომ მეტი იქნებოდა.

დასკვნა აქედან თავის თავად ცხადია: უფლებრიობა, კანონიერება მარტო ქაღალდზეა აღიარებული ჩვენს სახელმწიფოში,—ცხოვრებაში კი არ ხორციელდება იგი.

ი.

საუბარი ადმირალ დიუმენილის მახლობელ პირთან.

,,ბათუმის ეხოს‘‘ თანამშრომელს უბაასნია საფრანგეთის ადმირალ დიუმენილის დაახლოვებულ პირთან და შემდეგ საყურადღებო ცნობებს გადმოგვცემს.

რა მიზნით მოვიდა ბათომში ,,ვალდეკ რუსსო‘‘ თი ადმირალი დიუმენილი?—დაჰკითხებია კორესპონდენტი.

— ადმირალი გამოგზავნილია კავკასიის პოლიტიკურ მდგომარეობის შესასწავლად და საფრანგეთის მოქალაქეთა დასაცავად, თუ ამას საჭიროება მოითხოვს. კერძოდ ადმირალი დაინტერესებულია საქართველოს ნავთსადგურებში მყოფ გემების ბედით, რომელთა წართმევაც მოუნდომნიათ ბოლშევიკებს, ამ მტრებს კერძო საკუთრებისა. საქმე იმაშია, რომ გემის მეპატრონეებმა, რომელთაც სტამბოლშიც აქვთ განყოფილებანი სთხოვეს საფრანგეთს—დაგვიფარეთო.

ადმირალმა გადაიკითხა საქართველოსა და ბოლშევიკებს შორის დადებული ხელშეკრულობა და იქ არც ერთი მუხლი არ აღმოჩნდა, რომლის ძალითაც ბოლშევიკებს შეეძლოთ კერძო საკუთრების წართმევა და აგრეთვე წართმევა საქართველოს ნავთსადგურებში მყოფ გემებისა.

საფრანგეთი პრინციპიალურად წინააღმდეგია კერძო საკუთრების დარღვევისა და მაშასადამე არც ბოლშევიკებს მისცემს უფლებას ასეთი საქმის ჩადენისას, მით უმეტესს რომ საფრანგეთი არა სცნობს მათ.

საფრანგეთის წარმომადგენელმა საქართველოს მთავრობის წინაშე აღძრა ეს საკითხი და ის აზრი გამოსთქვა რომ საქმე ეხება მხოლოდ კერძო საკუთრებას და სხვა არაფერი, მაგრამ ბოლშევიკები, რომელნიც მიზეზს ეძებენ რომ როგორმე წაახდინონ საქართველო და ანტანტი, ავრცელებენ ხმებს, ვითომც საფრანგეთი ძალმომრეობდეს.

მაგალითად, გემი ,,პრინციპი‘‘ სრულიად თავისუფლად გავიდა ფოთიდან და საფრანგეთის ნაღმოსანს მისთვის არავითარი დახმარება არ აღმოუჩენია. ამ საკითხის გადაწყვეტის დროს ძალმომრეობას არავითარი ადგილი არ უნდა ჰქონდეს, ვინაიდგან საფრანგეთს ძალიან კარგად ესმის რომ ამით ისარგებლებენ ბოლშევიკები საქართველოს საწინააღმდეგოდ და საფრანგეთს არავითარი სურვილი არა აქვს საქართველოს რაიმე უსიამოვნება მიაყენოს. ამიტომ ადმირალი კმაყოფილდება მხოლოდ იმ საკითხის გადაწყვეტით, რომელიც ამ გემებს შეეხება.

— რა პირობებში დაიღუპა გემი ,,ზეინაბი‘‘.

,,ზეინაბს‘‘, ჩვენ ვუყურებდით როგორც მეკობართა გემს და, რაკი ანატოლიაში ქემალისტებთან იარაღი მიჰქონდა, უნდა დაღუპულიყო.

აწარმოებს თუ არა საფრანგეთი საბჭოთა რუსეთის ბლოკადას და რამდენად ძლიერია ბოლშევიკების ფლოტი?

საფრანგეთისათვის საბჭოთა რუსეთი არ არსებობს, როგორც სახელმწიფო, მაშასადამე რუსეთის ბლოკადაზე ლაპარაკიც მეტია. საფრანგეთი არა სცნობს საბჭოთა რუსეთს და არც მისცემთ ნებას შავ ზღვაზე გასვლისას. ბოლშევიკებს ჩვენ ვთვლით მეკობრებათა და კონტრაბანდისტებად. რაც შეეხება მათ ფლოტს, იგი ძალზე სუსტია, ვინაიდგან რაც კარგი გემები იყო, თავის ნებით გავიდნენ ყირიმიდან და მათ დარჩათ მხოლოდ უვარგისი გემები.

როგორ შეხვდება ანტანტი, ბოლშევიკები რომ საქართველოს დაესხნენ?

თუ საქართველომ სთხოვა საფრანგეთს დახმარება, ადმირალი დაუყოვნებლივ მიეშველება საქართველოს.

დასასრულ მობაასემ დასძინა შემდეგი:

თუმცა საფრანგეთს სრული ნება აქვს მოითხოვოს განთავისუფლება იმ გემებისა, რომელთა პატრონებმაც საფრანგეთის მფარველობა ითხოვეს, მაგრამ საფრანგეთი იმას ფიქრობს რომ ბოლშევიკებმა საქართველოს ზიანი არა მიაყენონ—რა. ამიტომაც—დაასკვნა მან—არავითარი ზომა არ იქნება მიღებული საქართველოს ნავთსადგურებიდან გემების გაყვანის შესახებ. რაც შეეხება იმ მითქმა მოთქმას, ვითომც ჩვენ ვერეოდეთ საქართველოს შინაურ საქმეებში, ბოლშევიკების ბოროტი მოგონებაა, რომ იქნება როგორმე წაჩხუბონ საქართველო და ანტანტი.

უცხოეთში

ფულისათვის გაერთიანება.

პარიზში 1921 წელს იანვარში შესდგება ,,ლათინურ ფულის კავშირის‘‘ კონფერენცია. საქმე ეხება ერთ საერთო ფულის სისტემის შექმნას ,,ლათინურ ფულისა‘‘.

ანტანტის ვალი.

ანტანტის ვალი, რომელიც მას აღებული აქვს ამერიკიდან, უდრის 9.565.091.511 დოლარს, აქედან გადახდილია მხოლოდ 114.540.505 დოლარი. ინგლისის წილია ვალში 4.277 მილიონი დოლარი, აქედან გადახდილია 80181641 დოლარი; საფრანგეთმა გადიხადა 31.449.357 დოლარი და კიდევ ჰმართებს 2.956.028.538 დოლარი; ბელგეთმა გადიხადა 10.000 დოლარი 349.214.467 დოლარ ვალიდან. რუმინეთმა 25 მილიონ დოლარიდან გადიხადა 1.794.180 დოლარი. სერბეთმა გადიხადა 605.236 დოლარი 26.780.465 დოლარ ვალიდან რუსეთს ჰმართებს 188 მილიონი დოლარი და არაფერი არ გადუხდია. საბერძნეთმა არაფერი გადიხადა იმ 10 მილიონ დოლარ ვალიდან, რომელიც მას ჰმართებს.

ფასების დაცემა ამერიკაში.

ნიუიორკიდან განმეორებით მოდის ცნობა ევროპაში რომ ბამბის ფასები დღე მუდამ იცვლება. ჩიკაგოში დიდძალი ხორბლეულობის საწყობები დასცალეს სულ დაბალ ფასებში. დოკოტაში რამოდენიმე ბანკმა შეაჩერა ოპერაციები რადგან მეურნენი ვერღა ჰყიდიან თავიანთ ხორბალს.

მრეწველობა რუსეთში.

ოფიციალ ,,ეკონომიჩ. ჟიზნ‘‘-ის ცნობით რუსეთის 35 გუბერნიაში არის 5.877 საწარმოვო 867.060 მუშახელით. წარსულ წელს კი იყო 6.090 საწარმოვო 1.254.000 მუშა-ხელით. პეტროგრადის რაიონის მრეწველობაში მუშა ხელის შემცირება უდრის 57 პროც.

ბამბის მოსავალი ამერიკაში.

ნიუ-იორკის ცენზის ბიუროს ცნობებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

1920 წლის სეზონში მოვიდა სულ 8.920 000 ტომარა ბამბა რაც უდრის სულ 5.358.000 ფუთს. ეს მოსავალი ბევრათ აღემატება 1913 წლისა და 6 მომდევნო წლების მოსავლებს.

სელი.

19 ნოემბერს 1920 წელს ბრიუსელში შეიკრიბნენ წარმომადგენელნი სელის მწარმოებლებისა საფრანგეთიდან, ინგლისიდან, ჰოლანდიიდან, ბელგეთიდან, ირლანდიიდან, დანიიდან და სხ. თავმჯდომარეობდა საფრანგეთის წარმომადგენელი ბ. ლაფაიეტი. დაადგინეს საერთაშორისო ფედერაციის შექმნა, რომელიც დააწესებს ფასებს ყველა ქვეყნისა და ხარისხის სელზე, მაგ. ფრანგულ სელზე დააწესეს 1.500 ფრანკი ტონაზე.

ჰამბურგის ვაჭრობა.

ომის დაწყებიდან პირველად გამოქვეყნდა ჰამბურგის პორტის საქონლის ტრიალის სტატისტიკა. 1920 წ. ენკენისთვეში ტრიალი უდრიდა 407 ათას ტონას ნეტო. 1919 წ. ენკენისთვეში 123 ათას ტონას ნეტო და 1918 წ. 1.247 ათას ნეტოს. 1920 წლის იანვარ ენკენისთვის მანძილზე საქონლის ტრიალი უდრიდა 3 მილიონ ტონას.

ინგლისის ვაჭრობა.

ტრანსპორტის სამინისტრომ გამოაქვეყნა სტატისტიკა შესახებ საქონლის ტრიალისა ბრიტანეთის ყველა პორტებში, საიდანაც სჩანს, რომ ხსენებულ პორტებში შესული ტონაჟი ერთი თვის სექტემბრის მანძილზე უდრიდა 10.814.876 ტონას, პორტებიდან მოსული ტონაჟი იმავე თვეში უდრიდა 11.323.470 ტონას. ძალიან შემცირებას აღნუსხავს ექსპორტის ტონაჟი. აგვისტოდან მოწყებული ექსპორტის ტონაჟი მხოლოდ ქვანახშირისა შემცირდა 372 ათას ტონით. გაზიდულ ქვანახშირის მთელი რაოდენობა 1920 წლის ენკენისთვეში შემცირებულია 4.772.000 ტონით იმავე თვის 1913 წელთან შედარებით.

რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრთა კონფერენცია პარიზში.

კავკასიაში მყოფმა საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა აბელ შევალიემ მიმართა მთავრობის თავმჯდომარეს შემდეგი წერილით: „მაქვს პატივი გადმოგცეთ ჩემ მიერ მიღებული დეპეში:“ მაქვს პატივი გაცნობოთ თქვენ, რომ იანვრის 8 პარიზში იკრიბება სრულიად რუსეთის დამფუძ. კრების წევრთა კონფერენცია. გთხოვთ გადასცეთ რუსეთის დამფუძნებელი კრების სხვა წევრებს, რომლებიც კავკასიაში სცხოვრობენ, ჩვენი სურვილი მათი კონფერენციაზე დასწრებისა. ხელს აწერენ დელეგატები, საინიციატივო ჯგუფი: ავქსენტიევი, კერენსკი, მინორი, როგოვსკი ლეიგი.“ (ს. დ. ს.).

ქრონიკა.

ფრანგული ცნობები.

ლიონი 11—1. სენატორთა არჩევნებში კონსერვატორებმა დაკარგეს 5 ადგილი, მემარცხენე რესპუბლიკანელებმა მოიგეს 2, რადიკალებმა დაკარგეს 4, სოციალისტებმა მოიგეს 7, 4 მინისტრი სენატორებათ აირჩიეს. რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი დეშანელი არჩეული იქნა დეპარტამენტ ლუარიდან.

—მარშალი ანრი ვილსონი გაემგზავრა ლონდონში ინგლისის რეინის საოკუპაციო ჯარის დასათვალიერებლათ, რის შემდეგაც იგი დაბრუნდება პარიზში და დაესწრება პრემიერების კონფერენციას.

გაზეთი „მატენი“ აღნიშნავს იმ წონასწორობას, რომელიც შექმნა სენატორთა არჩევნებმა. არჩევნები არ დასრულებულა არც უკიდურეს მემარცხენეთა სასარგებლოთ, როგორც ამას ზოგიერთი ფიქრობდენ, და არც მემარჯვენეთა სასარგებლოთ. სენატორთა არჩევნებით საფრანგეთმა გამოაჩინა თავისი მტკიცე გადაწყვეტილება დარჩეს წესიერებისა და პროგრესის რესპუბლიკათ. არჩეულთა შემადგენლობა, და დელეგატთა აზროვნება არის გარანტია იმისა, რომ რესპუბლიკაში არ უნდა მოველოდეთ ძალადობაზე დამყარებულ მოქმედების განვითარებას.

—პრუსიის სეიმის დეპუტატმა ბეტლინგმა კვირას პრუსიის სახალხო პარტიის კონგრესზე წარმოსთქვა სიტყვა, რომელშააც განაცხადა შემდეგი: მე მსურს შექმნა გაერთიანებულ გერმანიისა, რომელიც იქნება აღჭურვილი თავისი იმპერატორის სიყვარულით და იმ გრძნობით, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხალია მოქალაქეთა გულში ბეტლინგმა შეაქო პრუსიის მილიტარიზმი და მისი ბიუროკრატია და გამოსთქვა სურვილი გერმანიაში პრუსიის კულტურის განვითარების შესახებ. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ასეთ აზროვნობას კიდევ აქვს ადგილი. ეს სიტყვა არის დამამტკიცებელი იმისა, რომ მილიტარისტური გერმანია რჩება იმავე ბრმად და გაუსწორებლად, როგორიც იყო ყოველთვის.

—რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრთა ნაწილობრივი კონფერენცია, შეიკრიბა ორშაბათს, დილით ავქსენტიევის თავმჯდომარეობით. რამოდენიმე დეპუტატის მანდატის გასინჯვის შემდეგ კონფერენციას შეუდგა ორატორთა მოსმენას. ორატორებმა აღნიშნეს, ის პოზიცია, რომელიც დაიკავა კონგრესის ზოგიერთმა ჯგუფებმა. ზენზინოვმა სოციალისტ რევოლიუციონერებიდან, მილიუკოვმა—ყოფილმა საგარეო მინისტრმა (დამახინჯებულია) ჩაიკოვსკიმ და ხარლამოვმა პროტესტი განაცხადეს წინააღმდეგ ბოლშევიზმისა, რომელმაც რუსეთი მონობამდე მიიყვანა. ყველა ისინი პროტესტს აცხადებს უცხო სახელმწიფოთა ჩარევის წინააღმდეგ და გამოსთქვამენ სურვილს რუსეთში ფედერატიული რესპუბლიკის დამყარებისა, სადაც მთელი მიწა გლეხთა საკუთრებას უნდა შეადგენდეს.

—იტალიის სასურსათო მინისტრის ამხანაგი ჩავიდა პარიზში და ისაუბრა ტუმირომთან საფრანგეთ იტალიის ეკონომიურ დამოკიდებულების საკითხების შესახებ.

ლიონი. 12 1 თანახმათ გაზ. „დედაბაში“ გამოქვეყნებულ ცნობისა საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლათ პარიზში დაინიშნავთ ჩხენკელი.

პალატის სხდომათა გახსნება

ჟიულ ზიგფრიდის საპატიო თავმჯდომარეობით შესდგა დეპუტატთა პალატის სხდომა. შესდგა აგრეთვე სენატის სხდომა გუსტავ დენის თავმჯდომარეობით. დეპუტატთა პალატის თავმჯდომარეთ აირჩიეს რაულ პერე.

პროგრესი და ბოლშევიზმი

სენატის არჩევნებმა დაადასტურა ის ფაქტი, რომ საფრანგეთი განაგრძობს იმ გზას, რომლითაც იგი მიდიოდა ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში. „ჟურნალ დე-დება“ ადარებს რა ბოლშევიკების უნაყოფო დიქტატურას საფრანგეთის დემოკრატიის ნაყოფიერ მოღვაწეობას, სწერს: „რუსეთი ეს კატორღაა სოფლისა და ქალაქების მუშებისათვის; კაცობრიობის კულტურას არ შეუძლია განვითარდეს ამგვარ სიღატაკისა და საშინელებაშიო.

დეპუტატთა პალატაში ჟიულ ზიგფრიდი შეეხო პროგრესს, რომელსაც იგი თვალყურს ადევნებდა თავისი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში. მას უნახავს და ახსოვს 1748 წლის რევოლიუცია და იგი აღნიშნავს მაშინდელ მუშებისა და მრეწველობის მდგომარეობას: არსებობდა 12 და ხან 13 საათის მუშაობა მინიმალურ ჯილდოს მიცემით, მუშები ცუდად საზრდოობდენ. ცუდი სადგომები და ტანსაცმელი ჰქონდათ, მათ არა ჰქონდათ უფლება პროფ. კავშირების დაარსებისა და გაფიცვის მოწყობისა. მათი ბავშვები სიღარიბის გამო იძულებული იყვნენ უსწავლელი დარჩენილიყვნენ, ავათმყოფობის დროს, უმუშევრობისას, ან მოხუცებულობის და დგომის ჟამს ისინი არაფრით არ იყვნენ უზრუნველყოფილნი. ის ვინც ბურჟუაზიულ საზოგადოებას ბრალსა სდებს ეგოიზმში და უნაყოფო მოღვაწეობაში, კარგათ ვერ იცნობს ისტორიას. პროგრესი არ შეიძლება არსებობდეს წესრიგის, შრომისა და ეროვნული მთლიანობის გარეშე.

სამხედრო მინისტრი ჩერჩილი და მარშალი უილსონი ჩავიდენ პარიზს ინგლის—საფრანგეთის თათბირში მონაწილეობის მისაღებათ.

ელჩთა კონფერენციამ აუკრძალა არა სამხედრო ჰაეროპლანებს ფრენა მოკავშირეების მიერ დაკავებულ რაიონებში მანამდის, სანამ გერმანია არ შეუერთდება 1919 წლის ოქტომბრის 13 ს ხელშეკრულებას ჰაერში ფრენის შესახებ და ან სანამ გერმანია არ გახდება ერთა ლიგის წევრი. კონფერენციამ წინადადება მისცა გერმანიას, რომ მან მოკავშირეების მიერ რეინის პროვინციების ევაკუაციის შემდეგ დაიტოვოს მხოლოდ მეორე ხარისხოვანი ჰაეროდრომები, როგორც რეინის პროვინციებში, აგრეთვე ნეიტრალურ ზონაში. მარშალ ფოშის უკანასკნელ მოხსენების თანახმად ჰაეროპლანების მნიშვნელოვანი ნაწილი გერმანიას ჯერ—კიდევ არ გადაუცია მოკავშირეებისათვის.

„მანჩესტერ გარდიენის“ წინადადების გამო, რომ მოკავშირეები დაიკავებენ მიუნხენს იმ შემთხვევაში, თუ ბავარია უარს განაცხადებს თავდაცვის ორგანიზაციათა გაშვებაზე, გერმანიის მთავრობა აღნიშნავს, რომ ამგვარი ზომების მიღება არ ესაბამება საზავო ხელშეკრულებას, ისე როგორც ამავე ხელშეკრულებას არ შეესაბამება რურის რაიონის დატოვებაო.

პოლონეთის მთავრობა აღნიშნავს რომ ვარშავას მოელის შიმშილი, რადგანაც დეკემბრიდან 600 ვაგონი ფქვილის მაგიერ მხოლოდ 60 ვაგონი ფქვილია შემოტანილიო.

რუსეთის ცნობა.

მოსკოვი. 12 1. იტალიის პროლეტარიატი ღრმა აღშფოთებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ მთავრობამ არ დართო ნება იტალიაში მოსკოვის დელეგატების ბალაბანოვას, ზინოვიევის და ბუხარინის შემოსვლაზე. აღნიშნულ პირების მიზანი იყო მიეღოთ მონაწილეობა, როგორც რუსეთის კომუნისტურ პარტიის წარმომადგენლებს, ლივორნოში დანიშნულ იტალიის სოციალისტურ კონგრესზე.

შვეიცარიის სოც. დემ. პარტიის ბაზელის ორგანიზაციამ 636 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 87 ხმისა დაადგინა შეუერთდეს მესამე ინტერნაციონალს.

ინდოეთში რევოლუციონურ მოძრაობის გაძლიერების გამო, ინდოეთის მთავრობა იწვევს მესოპატამიიდან სამშობლოში 30 ფეხოსანთა ბატალიონს. ინდოეთის მცხოვრებნი ადგილობრივ საკანონმდებლო არჩევნებში ბოიკოტს აცხადებენ.

ამ ნიადაგზე ქალაქ აგრეში დიდი არეულება მოხდა. პოლიციამ ესროლა გაფიცულებს. კალკუტაში მელითონეთა გაფიცვა გრძელდება. გაფიცულთა დაანგრიეს პოლიციის სამართველო. ჯარებთან შეტაკების დროს ბევრი მუშა დაშავდა. მოკლეს რამოდენიმე პოლიციელი.

საქართველოში მყოფ რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენელთან არსებულ ბეჭდვითი სიტყვის ბიუროს ბიულეტენიდან.

ბაქო. 7 იანვარი. რადგანაც საქართველოში გაქცევას აპირებდენ, „ჩეკას“ განკარგულებით დააპატიმრეს და ერივნის ციხეში ჩასვეს 14 დაშნაკცაკანი. უპოვნეს რევოლვერები, 15 გირვანქამდე ოქრო და დიდძალი ბონებისა და ნიკოლოზის ფულები.

ბაქო. 6 იანვარი. განათლების სახალხო კომისარის განკარგულებით ბაქოში აგებულ იქნება დიდებული „სასახლე ბავშვთა“, მრავალის განყოფილებით. ასწავლიან ხატვას, შეძერწვას, გაართობენ წიგნების კითხვითა და მრავალგვარ სათამაშოებით.

ანატოლია და ანტანტა

ანგორა. 15 დეკემბერი. გაზეთი „ზაკამიეთ მილლია“ სწერს: შექმნილ გარემოებათა გამო ოსმალეთს მაინც ხსნა არა აქვს, თუნდაც სევრის ხელშეკრულობაც გადასინჯონო, ვინაიდგან მაშინ ისეთი პირობები დადგება, როგორიც ომამდე იყოო, როცა ოსმალეთი უცხოელებს ჰყავდა კლანჭებში ჩაჭერილი. ამიტომ ოსმალეთში დაწყებული ბრძოლა უნდა აწარმოვოს სრულ გამარჯვებამდე, რომელი გამარჯვებაც მთელმა ქვეყანამ უნდა იცნოსო.

ვენიზელოსის და კონსტანტინეს მომხრეთა შეტაკება

კონსტანტინოპოლი. 20 დეკემბერი. გაზეთი „პეიამ საბახ“ გაუგონია, რომ სმირნაში ვენიზელოსისა და კონსტანტინეს მომხრეებს შეტაკება მოუხდათო. ამიტომ სმირნაში სამხედრო რეჟიმი ერთი ორად გააძლიერეს.

ფრანგები ჩაფიქრდენ

ათინა. 22 დეკემბერი. გაზეთ „ელეფთეროს ტიპოსის“ პარიზელ კორესპონდენტის სიტყვით, ფრანგები ძალზე ჩააფიქრა ოსმალეთ-საბერძნეთის ურთიერთობამაო. „ეკლერი“ ამბობს: რაკი მეფე კონსტანტინე ოსმალეთისაკენ იხრება საკავშიროდ ამიტომ მოკავშირეებმა ახლავე უნდა გადასინჯონ სევრის ხელშეკრულობა და ოსმალეთის სასარგებლოდ გაათაოს საქმე. ამ გვარად ოსმალეთ-საბერძნეთის დაახლოვება თავიდან აცილებულ იქნებაო.

ბანკების ნაციონალიზაცია

ერივანი. 30 დეკემბერი. სახალხო მეურნეობის მოსაწესრიგებლათა და სპეკულიაციის ძირიანად ამოსაფხვრელად, საბჭოთა სომხეთის რევკომმა გადასწყვიტა საბანკო საქმე სომხეთში სახელმწიფო მონოპოლიად გამოცხადდეს. რუსეთის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებანი და სხვა კერძო, კომერციული და საურთიერთო ნდობის ბანკები შეერთებული იქნებიან ერთ სახელმწიფო ბანკად. წვრილი კლიენტების ინტერესები დაცული იქნება.

საქართველოში მყოფ სომხ. საბ. რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენელთან არსებულ საინფორმაციო ბიუროს ბიულეტენიდან

ბაქო. 2 იანვარი (რადიო) ორ იანვარს დაიწყო მეცადინეობა ბაქოს საპოლიტეხნიკო ინსტიტუტში, რომელსაც ხუთი განყოფილება აქვს. საინჟინერო-სამშენებლო ელექტრო ტეხნიკური, ნავთმრეწველობისა, სასოფლო სამეურნეო და ეკონომიური. სტუდენტთა რიცხვი უდრის 850 კაცს. ყველას ბაქოს პოლიტეხნიკური სასწავლებელი აქვს დამთავრებული.

ბრძოლა დაშნაკელების ხრიკების წინააღმდეგ

კონსტანტინოპოლი. 5 იანვარი. მოხდა შეერთებული კრება სომხების ყველა პარტიებისა და ორგანიზაციებისა. რომელზედაც კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს დაშნაკცაკანთა პარტიის უკანასკნელი ორი წლის პოლიტიკა. კრება დარწმუნებული იყო, რომ დაშნაკელები თავის ინტრიგებს თავს არ დაანებებენ, ამიტომ არჩეულ იქმნა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა გამოიმუშაოს, როგორი პოზიცია უნდა დაიჭირონ სამშობლოს გარეშე მცხოვრებელმა სომხებმა ახალი მთავრობის მიმართ.

ახალი მექქა

მოსკოვი. 8 იანვარი ჩინეთის გაზეთები სწერენ, რომ ხალხები ისევე უყურებდენ ოდესღაც ქრისტიანობას, როგორც უყურებენ ახლა ბოლშევიზმსაო. ძველი ქრისტიანები აღმოსავლეთის ყველა ხალხებისათვის კომუნიზმის დაარსებას სცდილობდენ. ბაქო ხდება ახალ მექქად, სადაც მომხრეები ისევე დაეძებენ ლენინს, როგორც დაეძებდენ მაჰმადსაო.

მოძრაობა ინდოეთში

ნაგპური 6 იანვარი. გაიხსნა ინდოელების ეროვნული კონგრესი, რომელსაც რამოდენიმე ათასი დელეგატი დაესწრო ინდოეთის სხვა და სხვა კუთხეებიდან. კრებამ დაადგინა: ხელი შეეწყოს იმ მოძრაობას, რომელიც ინგლისელებთან ყოველივე კავშირის გაწყვეტას სცდილობს. ის მოითხოვს დაუყონებლივ შეიქმნას კონსტიტუცია ინდოეთის თვითმართველობისა და ჩამოყალიბდეს მისი უფლებანი.

გერმანული ცნობები.

— სოლარი პარიზში. იტალიის მომარაგების სამინისტროს წარმომადგენელი სოლარი ლონდონიდან ჩავიდა პარიზს, სადაც მას ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ტუმირთან. საუბრის დროს შეეხნენ სხვა და სხვა საკითხებს, რომლებიც იტალიისა და საფრანგეთის ურთიერთ ეკონომიურ დამოკიდებულებას შეეხებოდა.

—გერმანიასთან სპაში დადებულ ხელშეკრულების ვადა ქვანახშირის გადაცემის შესახებ იანვრის 31 თავდება. ექვსი თვის განმავლობაში აგვისტოდან იანვრამდის გერმანიას ყოველთვიურად უნდა გადმოეცა ორი მილიონი ტონი ქვა-ნახშირი. იმ ათი მილიონი ქვა-ნახშირიდან, რომელიც გადმოცემული უნდა ყოფილიყო იანვრის 1 მდის, გადმოცემული არ არის დაახლოვებით 500,000 ტონი. ანაზღაურების კომისიამ, რომელიც ამ საკითხს იხილავდა წინადადება მისცა გერმანიას დროებით ორი მილიონ ტონის მაგიერ მოკავშირეებს გადასცეს 2.200,000 ტონი თე-

ქართული ხელოვნება 1920 წელს.

საახალწლოთ, მწერლობის მიმოხილვას ყველა ქვეყნებში თავისი ტრადიცია აქვს. ახალწლის ღამეს, ზამთრის ბუხარის ცეცხლთან, განათდება მწერლობა და პიროვნულ ანალიზს ემატება ანალიზი ეროვნული შემოქმედების. ბედნიერება არის ერთგვარი თუ რამე გადარჩება ცეცხლს—თუმცა ცუდი წიგნებისთვის საჭირო არ იყო ცეცხლის დანთება—დავიწყება თავის თავათ სპობს უვარგისს. დღევანდელ საქართველოს, სკეპსისი და ანალიზი ვერ ეკარება.

ხალხს უხარია სახელმწიფოებრივათ მკდრეთით აღდგომა და ხანგძლივ ლიტანიობს.—მართალია ჩირაღდნები და სანთლები მარტო მენშევიკებს უკავიათ ხელში—მაგრამ იმდენათ გადამდებია მათი ენტუზიაზმი—რომ ძალიან ხშირათ ეროვნულ ხასიათს იღებს და მასიურ გრძნობათ ხდება—და აქედან იბადება ილიუზია ეროვნული ოპტიმიზმის და მომავალი იმედების. გასახარია ამ ხერხემალ მაგარი ხალხის შეხედვა—რომ შუბლებიც არ ჰქონდეთ მაგარი—მაგრამ ეს ალბათ ბედია და კიდევ უფრო მეტი აუცილებლობა და აქედან გასაგებია გულგრილობაც, ასეთ დროს მართლაც შეიძლება მონობანია ერთგვარ სათნოებათაც ჩაითვალოს.

ძველი ამბავია: ფრანგი ესტეტი ბარბიე დორვილი ამაყობდა ერთ დროს თავის რესპუბლიკანელობით... მაგრამ, როცა საფრანგეთში რესპუბლიკამ გაიმარჯვა—მას უკან მიაქვს თავისი სიამაყე—მე არ მინდა რესპუბლიკანელობა, როცა ყველა ღორი რესპუბლიკანელია. საქართველომ ორი გადატეხა განიცადა. ორჯერ ცეცხლში გავლა. ეროვნული თავისუფლების დაბრუნება და რევოლუცია.

მაგრამ ორივე რკალი ისე გაიხსნა—რომ ნამდვილი გადატეხა არც კი მომხდარა.

ის ხალხი, რომელიც გადამკვდარი იყო ეროვნულ მოტივზე და პატრიოტიზმს აღმერთებდა ფაქტის წინ დადგა და ვერ გამორკვეულიყო სასწაულში—ყველაზე უფრო ანაციონალურმა ჯგუფმა დაიჩემა პატრიოტიზმი და თავისთვის გამოსადეგ ფორმულებს აძლევს ეროვნულ ყოფნას.

რევოლუციაც პეტერბურგიდან ცივი ქარის მოვარდნა იყო... სამხრეთში მეტი სიცხოველე და რუსეთისათვის ნაადრევი თებერვლის რევოლუცია—საქართველოში გაიშალა დასრულებულათ... დასაღუპავად ყველაზე უფრო მომწიფებული კლასი თავად აზნაურობა მალე ჩამოშორდა ასპარეზს... და ოქტომბერის გრიგალის მოვარდნას მაგრად დახვდა ქართველი გლეხობა—რომელმაც მოასწრო კიდეც ხელში სადავის აღება.

პირდაპირი თქმა რასაკვირველია დაუძალავი ირონიით.

— ეს ფრაზაა დოსტოევსკის.

— „Мужичев на себя настояти“... და დღემდისაც ეს ასეა: ყოფნა შუათანა.

—„არც მარჯნივ—არც მარცხნივ“—ასე წარმოსდგა ეს ფორმულა მენშევიკების. ანგელოსი იწყევლება აპოკალიპსის:

— ვაი შენ, რადგან არ იყავი არც ცხელი და არც ცივი. ანგელოსი ასე ვერ დაწყევლიდა წინანდელ საქართველოს.

სიცივე იყო გაყინული და მზე დადრული.

„არც მარჯვნივ არც მარცხნივ“—პირდაპირ ჯდომა ბანალობაში—ასეთია დამდგარი დღის ფორმულა და ამ ნიშნის ქვეშ ინერციით მიდის საქართველო.

ირგვლივ კი, ოკეანეა გაუჩერებელი.

გამარჯვებული ევროპის ლეგიონებმა გადაიჭიმეს აზიის სანაპიროებში. სისხლიანი იმპერიალიზმი პარადს პარადებზე მართავდა აზიაში; პარადების კუდებმა საქართველოსაც უწიეს—ეს იყო მოგონება ჯვაროსანთა ომის, როცა კასკებიანი გერმანელები რუსთაველის პროსპექტზე უკრავდენ ვაგნერს და ინგლისელი ფერადი ჯარები—უფრო მეტად მალაელები, სიზმარის ჩრდილებათ დადიოდენ საქართველოში.

მებრძოლი კომუნიზმი ილეჩება თავის ცეცხლში. ჯერ ქვეყანას არ უნახავს მეტი ტანჯვა და პათოსი როგორც რუსეთის რევოლუციაა.

დარდნეილი გაიღო, როგორც კუპრო დოსტოევსკის და რუსეთის ემიგრანტები იმეორებენ ბიბლიურ წიგნს „გასვლისს.“

თვითონ ქვეყანას მოედვა განადგურების ცეცხლი, მარადიული პლასტები დაისერენ და უკანასკნელათ ელიან ჩავარდნას. უკანასკნელი მისტერია ქვეყნის დაღუპვასა, სკრიაბინს რომ უნდოდა ჰიმალაიზე დაედგა—რუსეთმა კოლლექტიურათ დადგა დამღუპველი თავგანწირვით.

არ შეიძლება არც მარცხნივ—არც მარჯვნივ...

თუმცა სინამდვილით ასრულდა საქართველოსთვის ზღაპრის ლექსის ტექსტი.

— მარჯვნივ წახვალ ინანებ—მარცხნივ ინანებ. მაგრამ ყოველი წასვლა განწირულებაა, თვითონ ქვეყანა განწირულებაა.

სად არის საქართველოში აწეული პატრიოტიზმი?

ჩვენ ირგვლივ ღია იყო კარები ისტორიულ საზღვრების აღსადგენად. ჩვენ რუსეთზე ადრე ვიყავით მესსიანისტები რევოლუციის აზიაში (ნოე ჟორდანიას სიტყვებია). დღეს ქემალისტები გვიგზავნიან კომუნისტურ ნოტებს!

ბრძოლის ველზე თუ ჩვენ დამარცხება არ გვინახავს—სამაგიეროთ არც გამარჯვებით გაგვიხარია.

ამიტომ არ არის მოტივი პატრიოტიზმის და მესსიანიზმის.

საქართველოს რევოლუციას არ მოუცია არც ერთი ლექსი, არც ერთი ახალი სახელი, არც ერთი აღტაცება. მოთხვევა ეს სახელი, ზოგმა რუსეთში ზოგმა სპარსეთში.

საქართველოში დაბრუნებულს ყველას ჩაუწყდა ხმა.

რა არის ყველაჟური იხ, რაც სოციალისტურმა პრესამ მოგვცა ჩვენ?

რომელი ლექსი გამოხთქვამს რევოლუციის ცეცხლს, მის პათოსს?

ტყუილათ ნუ წაიკითხავთ იმ ჭურ ნათლებს, რომელსაც პროფესიონალური კავშირები სცემენ.

აქ რეზოლიუციები უფრო საინტერესონი არიან ვიხემ ლექსები. სმერდიაკოვი გულაჩუყებული მღერის გიტარაზე:

Господи помилуй ее и меня ее и меня...

არც მარჯვნივ—არც მარცხნივ. ჯერჯერობით არ გავარდნია ძირი ბანალობის ჭაობს.

ლიტერატურული ფაქტები:

ისტორია იწერება იუმორისტულათ „ეშმაკის მათრახში“. „ნარიმანა გოცაძე“

ბელეტრისტიკა: ლექსები და ეპოსი ჟურნალი „ცისარტყელა“.

პიესა, როგორც „რევოლუციის ტალღები“

განა ღირს გახსენება ყველა იმ საუბილეო გამოცემების: როგორც „26 მაისი“ „გვარდიელი“ „მხედარი“, „თეატრი და ცხოვრება“ და სხვა.

ასე შენდება სახელმწიფო, როგორც კოოპერაცია—მაგრამ კოოპერაცია გარანტია მაინც არის მართლა ფიზიკური გამოკვების—საქართველოს ესეც ვერ მოუხერხებია.

მაგრამ ეს ხომ ჟურნალისტიკაა...

ჩვენს გვქულს არა თუ ჟურნალისტიკა, ლიტერატურაც კი...

მაგრამ სხვანაირათ არ შეიძლება გაიშალოს დღევანდელი საქართველოს პრობლება...

საერთოდ ეროვნული ხელოვნების სიამაყისთვის აღსანიშნავია მარტო ლადო ალექსი-მესხიშვილის სიკვდილი.

ამ არტისტში იყო რაღაც, რაც უახლოვდებოდა მას დიდი მაშტაბის ხელოვნებას, სხვა წერილში და სხვაგან ჩვენ ვეცდებით დავამტკიცოთ, რომ მესხიშვილის გზა ქართულ სცენაზე ერთადერთი მისაღები იყო ქართულ სცენიურ შეგნებისთვის—მის სიკვდილში იყო რაღაც მისტიური—ის დაბრუნდა სამშობლოში, როგორც ფრანგები იტყვიან, მისთვის რომ მომკვდარიყო... მან როგორც მეფე ლირმა ძირამდი დალია თასი „მხატვარის ცხოვრებისა ქვეყანაზე“.

მხოლოდ ქარიშხალი სტიროდა შემოდგომის მესხიშვილის ლანდს—ოფიციალურ საქართველოს არც სიტყვა ეყო მისი დაფასებისთვის და არც შეძლება დიდებამდე მიცილებისა.

მაგრამ მესხიშვილი იყო გენია—და ასეთი ხელოვანი მარადის გაამართლებს საქართველოს მომავალს...

მეორე სიკვდილი, რომელსაც შეეძლო შეეწირა ქართული სული.

ეს იყო სიკვდილი ნოე ჩხიკვაძის.

მართალია ჩხიკვაძეს არ დარჩენია ბევრი ისეთი ლექსი, რომელიც დიდხანს შეინახავდეს მის სახელს—მაგრამ მის ცხოვრებაში იყო რაღაც ტრაგიული და ტემპერამენტი სამუდამოთ გამართლებული.

ნოე ჩხიკვაძე პირველი პოეტია, რომელიც საავადმყოფოს მორგიდან გამოიტანეს საქართველოში, მუდამ დაუდეგარს, ტემპერამენტით რევოლუციონერს და ბოჰემობისთვის არჩეულს ბევრი გულწრფელი ცრემლი წაყვა დასატირებლად.

ნეკროლოგს მისდევს იუბილე:

დავით კლდიაშვილის... მართალია ამ იუბილეს არ ჰქონდა შესაფერათ ღირსეული ხასიათი—ცოტა ჩეხოვისგან აწერილ იუბილესაც ჩამოგავდა და სხვა დროს. იგი თვითონ დ. კლდიაშვილი მიხცემდა მასალას ირონიისთვის. მაგრამ ყველამ იგრძნო, რომ დ. კლდიაშვილი დიდი მწერალია, თავის დროზე ჩვენ აღვნიშნეთ ეს. და ეხლაც გვახარებს რომ ეს პატიოსანი მოხუცებული ღირსეულათ ატარებს მწერალის სახელს და იმერეთის ღირსს.

მიმოხილვისთვის—რაც უნდა გვშინოდეს ახლოს მისვლა—მაინც საჭიროა თვალის გაჩერება.

1. დრამატიული ხელოვნება. მიმოხილვისთვის საკმაოთ ითქვა, რომ დრამაში არ ყოფილა რაიმე ახალის ძიება. ძველი სახეები, რომელნიც ღირსეულათ ინახავდენ აქამდის სიჩუმეს. ნაციონალიზაციამ ბევრი გამოიყვანა მოედანზე, მაგრამ მათ ჩრდილი ერჩიათ. ყველაზე უფრო მაინც აღსანიშნავია. ს. შანშიაშვილის „ბერდო ზმანია“. ეს მისი ახალგაზრდობის ნაწერია და საქებია სანდრო შანშიაშვილი, რომ გაბედა მისი გამოტანა, უფრო კიდევ ალ. ახმეტელი, რომ ამდენი იმუშავა მის დადგმაზე. ყოველ შემთხვევაში ორივემ დაამტკიცეს, რომ სჯობიან თავიანთ თანამედროვეთ. ესეც ერთგვარი დამსახურებაა. შანშიაშვილი ლიტერატურულია, და ახმეტელი კულტურული. გ. სიდამონ—ერისთვის დეკორაციებში არის სიახლე და ხანდისხან მიღწევაც. მაგრამ ქართულ დრამის რეპერტუარი რომ შევადაროთ თუნდა ტფილისის რუსულ კამერულ თეატრის რეპერტუარს ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობა დაიჩრდილება.

მხატვრობა. ქართული მხატვრების უმრავლესობა საზღვარ გარეთ არიან. ვინც ტფილისში დარჩა—გამოფენას ვერ აწყობს. ასე, რომ ტფილისს ამ სეზონში არ უნახავს გამოფენა—თუ არ არ მივიღებთ მხედველობაში უკანასკნელ გამოფენას, რომელსაც უმთავრესად სომხები აწყობდენ და უმთავრესად კიდევ მღებავები.

ეს გამოფენა სასირცხვილო იყო ტფილისისათვის. უფრო მეტის თქმა შეიძლება უკანასკნელი ძველი მხატვრობის გამოფენაზე, მაგრამ ამის ამოწურა შეუძლებელია ამ წერილში, მით უმეტეს რომ ავტორისთვის სადაო საკითხია—ისეთი, რასაც შეუძლია ეროვნული სკანდალიც გამოიწვიოს... საქმე ეხება სპარსულ ულამაზიან მხატვრობას.

უფრო საინტერესო იყო კიდევ ძველი არქეოლოგიურ ნიმუშების გამოფენა.

პარიზიდან მოსულ ცნობებით იქ გამოფენა გაუმართავს ლ. გუდიაშვილსა. ამბობენ, რომ იმარჯვებს კიდეც. ჩვენ გვინდა ვიფიქროთ, რომ გუდიაშვილის გამარჯვება არ იქნეს ეტნოგრაფიის გამარჯვება...

მოქანდაკე ი. ნიკოლაძე—მერცხლის ბუდეებივით აკეთებდა ყოველ სახელმწიფო დაწესებულებისათვის ნ. ჟორდანიას ქანდაკებას. მარმარილო მხოლოდ ეხლა მიიღო ნიკოლაძემ და ალბად მის ატელიეში მუშაობა უფრო გაიმართება.

მუსიკალური საზოგადოება. ამ წელს ზედმეტად სდუმდა. არც ერთი გამოსვლა არ მოუწყვია. სეზონი თბილისში უცხოელებმა დარჩათ. საზოგადოებამ წინად მოაწყო კაპელლა კოოპერატივთა კავშირის საშუალებით, მაგრამ გამოჩდა, რომ კოოპერატივთა კავშირის მეცენატობა თურმე სხვა მიზნებით იყო დაწყებული და მალე გათავდა კიდეც...

შემდეგ წერილში იქნება მიმოხილვა მწერლობის.

ტიციან ტაბიძე.

ბერვალსა და მარტში. ამას გარდა ის 500 ათასი ტონი, რომელიც ჯერ-კიდევ არ არის გადმოცემული გერმანიამ უნდა გაანაწილოს შუაზე და თვეში 250 ათასი ტონი გადასცეს მოკავშირეებს.

ს. დ. ს. ს. ბ. ცნობები

ინგლისი და რუსეთი

სტამბოლი. აქასის სააგენტო აუწყებს საქართველოს დეპეშათა სააგენტოს (სანდონს): ინგლისმა ოფიციალურად აუწყა საბჭოთა მთავრობას, რომ ინგლისელების მიერ საბჭოთა რუსეთის საზღვაო ბლოკადის განსახორციელებლად ჩაყრილი ნაღმები ამ ჟამად უკვე მოხსნილია.

მიაკოტინის დატუსაღება

პარიზი. ეკატერინოდარში ბოლშევიკებმა ხელთ იგდეს მიაკოტინი, რომელიც დღემდე მოსკოვის ბუტირის ციხეში იმყოფება. მძიმე ფიზიკურ მდგომარეობის გამო მიაკოტინი სატუსაღოს საავადმყოფოში გადაიყვანეს.

კრასინის ნოტა ლოიდ-ჯორჯს

ლონდონი. სახ. კომისართა საბჭოს სახელით კრასინმა ლოიდ ჯორჯს გადასცა ნოტა, სადაც სახ. კომ. საბჭო მოითხოვს, რომ ინგლისის მთავრობამ შეასრულოს ტყვეების გაცვლა-გამოცვლის შესახებ ლიტვინოვსა და ოგრედის შორის დადებულ შეთანხმების პირობები. ნოტა უდიერი სიტყვებით ბრალსა სდებს ინგლისის მთავრობას თავის ვალდებულებათა დარღვევაში.

რუსი ლტოლვილები ინგლისში.

ლონდონი. თემთა პალატაში განიხილეს საკითხი იმ რუს ლტოლვილთა შესახებ რომლებიც ინგლისელებმა წაიყვანეს. კამათი აღიძრა საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილ კანონ-პროექტის გამო, რომელიც ნახევარ მილიონამდე გირვანქა სტერლინგის ლტოლვილთათვის გადადებას შეეხებოდა. კამათის დროს დეპუტატმა კენვორტიმ წინადადება მისცა მთავრობას, რომ იგი მოლაპარაკებოდა ლონდონში არსებულ საბჭოთა საელჩოს ლტოლვილთა რუსეთში დაბრუნების შესახებ იმ პირობით, რომ მათ დანაშაულს აპატიებდნენ. დეპუტატმა რაისმა, რომელმაც თანხის გადადების წინააღმდეგ გაილაშქრა, იკითხა: რა უფლება აქვთ რუს ლტოლვილთ ინგლისელ მოქალაქეთა ფულებზე პრეტენზია განაცხადონ. მთავრობის მხრივ განმარტებებით გამოვიდა გარმსვორტსი, რომელმაც განაცხადა, რომ მოხალისეთა ჯარის გაზაფხულზე უკან დახევის დროიდან რუსეთიდან გადმოვიყვანეთ 10,000 კაცი. ამ ლტოლვილთაგან ეგვიპტესა, კვიპრსა და ლემნოზე 6500 კაცი დარჩა, მთავრობა რა თქმა უნდა დიდი სიამოვნებით გაუშვებდა ამ ლტოლვილთ, რომ მათ შეეძლოთ სადმე სამუშაოს მონახვა. დენიკინთან მყოფმა ბრიტანეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა მოხალისეთა ჯარის განადგურების ჟამს დენიკინის ჯარში მოსამსახურე პირთა ოჯახებს მზრუნველობა გაუწია. რაც შეეხება კენვორტის წინადადებას რუს ლტოლვილთა რუსეთში დაბრუნების შესახებ, ლტოლვილნი საეჭვოა რომ თანახმანი შეიქნენ რუსეთში დაბრუნებისა წინამდე, სანამ იქ ბოლშევიკური რეჟიმი არსებობს. კამათის შემდეგ პალატამ კენჭი უყარა კრედიტს.

ინგლისი და აღმოსავლეთი

ლონდონი. თემთა პალატაში ლოიდ-ჯორჯმა აღმოსავლეთის საკითხის შესახებ შემდეგი განაცხადა: ანტანტისათვის მეტად სასურველი იქნებოდა ანგორისა და სტამბოლის მთავრობათა შეთანხმება, მაგრამ ინგლისის მთავრობას ოფიციალური მოლაპარაკების წარმოება შეუძლია მხოლოდ კონსტანტინოპოლის მთავრობასთან. ცხადია, რომ ინგლისს არ შეუძლია სავაჭრო მოლაპარაკება გამართოს მუსტაფა ქემალთან, თუ ამას არ დაეთანხმება სტამბოლი, რომელიც ანგორასთან მტრულ განწყობილებაში იმყოფება. მუსტაფა ქემალს შეიძლება ანატოლიის 4/5 ნაწილი ეკავოს. ეს რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ პირველ ყოვლისა ანგარიში უნდა გავუწიოთ არა წამიერ გამარჯვებას ამა თუ იმ ჯგუფისას, არამედ უფლებრივ ფაქტებს. ინგლისი უნდა დადგეს ერთ ერთ თვალსაზრისზე: მან ან უნდა იცნოს კონსტანტინოპოლის მთავრობა, და ან უნდა უარჰყოს იგი. შესაძლებელია შეთანხმება მოხდეს სტამბოლისა და ანგორის მთავრობათა შორის. ამ შემთხვევაში იარსებებს ერთი გაერთიანებული მთავრობა-მთელი ოსმალეთის წარმომადგენელი. ამ გვარად ინგლისმა მოლაპარაკება უნდა აწარმოოს არა აჯანყებულ გენერალთან, არამედ ოსმალეთის კანონიერ მთავრობასთან ამ მიზნით ხელი შეუწყოს სტამბოლისა და ანგორის გაერთიანებას. მაგრამ ამავე დროს ინგლისი დიდ შეცდომას ჩაიდენდა, რომ დაკავშირებოდა ქემალს ან კონსტანტინეპოლს. ქემალის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ე. ი. მისთვის სმირნის გადაცემა ჩვენ არ შეგვიძლია. მე წინადადებას შემოვიტანდი, რომ ოსმალეთის გაერთიანებამდის არ უნდა გავხსნილა სევრის ხელშეკრულება.

ხმები ლენინზე თავდასხმის შესახებ.

პარიზი. „ჟურნალი დედება" იუწყება: შვედური პრესა გადმოგვცემს სარწმუნო ხმებს ლენინზე ახალი თავდასხმის შესახებ. მიღებული ცნობის თანახმად ნამდვილად მომხდარა შემდეგი: მოსკოვში არსებულ პროხოროვის ქარხნის მუშები „ჩეკას" აგენტების წაქეზებით გამართნენ კრემლისაკენ, რომ სახ. კომ. საბჭოსთვის გაეცნოთ ქარხნის მდგომარეობა და ნედლი მასალის უქონლობა. დელეგაცია ქარხნისა შეიყვანეს კრემლის ეზოში სადაც ისინი დახვრიტეს. ამ შემთხვევამ მისცა საბაბი ჩრეზვიჩაიკას, გაევრცელებია ყალბი ხმები ლენინზე თავდასხმის შესახებ.

მადლობის წერილი

წერა-კითხვის საზოგადოებისადმი

1918—1919 წ. ხსენებულ საზოგადოებასთან დაარსდა უცხოელ მწერალთა გამომცემლობის სექცია. შემუშავდა თვით სია, თუ რომელი მწერალი თარგმნილიყო პირველ რიგში. მთარგმნელთა შორის მეც დამასახელეს და დამავალეს მე თარგმნა მორ. მეტერლინკის თეატრი, რაც დიდის ხალისით შევასრულე კიდეც და იმავე წელს (1919 წ.) წარვუდგინე სამი ტომი თეატრისა, რომელშიაც შედიოდა შემდეგი პიესები: ტომი პირველი: „პრინცესა მალენი", „დაუპატიჟებელი", „ბრმები", ტომი მეორე: „პელეას და მელისანდი", „ალადინ და პალომიდი", „კარმიდამოზე", „სიკვდილი ტინტაჟილისა", ტომი მესამე: „აგლავენი და სელიზეტი", „არიან და ლურჯ წვერა", „და ბეატრიჩე", „შვიდი პრინცესა"... დამრჩა მეოთხე ტომი, მაგრამ ამისი თარგმნა კარგი იყო რომ შევაჩერე, იმიტომ, რომ რაც ვთარგმნე, იმასაც მეტად ცუდი ბედი ეწვია: ჯერ იყო და რეცენზენტმა დ. კარიჭაშვილმა ჯვარს აცვა იგი, დაიწუნა თარგმნის მხრით. მე არ დავეთანხმე მის ცალმხრივობას და მოვითხოვე კომისია ობიექტიურ მსჯავრისათვის. საზოგადოებამ თარგმანი მიანდო იგ. მაჭავარიანს, როგორც ფრანგული ენის ზედმიწევნით მცოდნეს და საუკეთესო მთარგმნელს. ჩემდა საბედნიეროდ მაჭავარიანმა სანაქებო ბარათი უძღვნა ჩემს თარგმანს და დაბეჭდვა გადასწყდა... გადასწყდა, მაგრამ... სიტყვიერად! მას აქეთ მოვდიოდი და მესმის: „ჯერ მაისა, სახელმძღვანელოებს ვცემთ"... შემდეგ—„შემოდგომისთვის გადაიდო"... შემდეგ—„ამა და ამ საზოგადოებას გადავეცით დასაბეჭდათ..." ბოლოს: „ქაღალდი აღარ არის და უკან დაიბრუნეთ..."

რადგანაც მეტერლინკს ამდენი თრევა და წამება ერგო წილად, გადავწყვიტე, გამენთავისუფლებინა იგი შემდეგი მწარე ხვედრიდან და მე თვითონ გამომეცა და გამოვეცი კიდეც საუცხოოდ: 11 იანვარს დავწვი ყველა! სჩანს, ჩვენი საზოგადოებისთვის მოთხოვნილებას არ შეადგენს ევროპის საამაყო მწერლის შეძენა, მომავალში კი, როცა მოთხოვნილება თავს წამოჰყოფს, ალბად ახალი მთარგმნელებიც გამოჩნდებიან და ჩემი თარგმნილი კი არავის არ მოაგონდება...

დიდი მადლობა წერა-კითხვის საზოგადოებას, რომ მის მიერ დაკისრებული შრომა ასე დომიჯილდოვა!.. ჰონორარად მიღებულ სამოც თუმანს უკანვე ვუბრუნებ რედაქციის ხელით: არ მსურს საზოგადოება ვაზარალო იმით, რაც მათ სარგებლობას არ მოუტანს!..*)

დ. კასრაძე

ახალი ამბები

სამინისტროებში.

— შინაგან საქმეთა სამინისტროში. ჯანმრთელობის დეპარტამენტი აცხადებს: ჯანმრთელობის დეპარტამენტის საბჭო გაეცნო რა საქართველოს აფთიაქართა კავშირის შუამდგომლობაში აღნიშნულ აფთიაქების მატერიალურ მდგომარეობას, სატარიფო პალატის დადგენილებით გამოწვეული საჭირო ხარჯების დასაფარავად, ნებას რთავს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, გარდა ქ. ბათომის და მისი ოლქის, აფთიაქების მეპატრონეებს, ერთი თვის ვადის ამა 1921 წლ. 15 იანვარიდან 15 თებერვლამდე აფთიაქებიდან გაშვებულ თითო რეცეპტის ნომერს არსებული ნიხრით შეფასების შემდეგ, შრომის ფასის სახით დაუმატონ სამოცდა თუთხმეტი მანეთი.

სხვა და სხვა.

— ცენტრობანკის გამგეობის განკარგულების თანახმად ამ დღეებში მიემგზავრებიან სტამბოლს იქაურ განყოფილების მოსაწყობად ბ.ბ. ვლადიმ. ალიბეგოვი და კ. კ. ვიტტე. სტამბოლიდან გამოწვეულნი ბ. ბ. პ. სურგულაძე და ა. გრიშელია ღებულობენ ახალ თანამდებობას ტფილისის ცენტრო ბანკში.

საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საინფორმაციო ბიუროსთან მიღებულია დეპეშები ბერზინისა და ბარახოვსკის სახელზე და წერილები: ტერ-მიქაელიანისა, მ. აფრიკიანისა, ვ. კორსაკ-მგელაძისა, უმანსკისა, ექიმ ტახტაჯიანისა და სტუდენტ ალექსი დუმბაძის სახელებზე.

— საქართველოს ტექნიკურ საზოგადოებაში. გამოკვეყნებულ სიის გარდა საზოგადოების წლიურ კრებაზე გამგეობაში არჩეული იყო ინჟ. ტეხნ. ს. ფირალაშვილი.

— დამსახ. პროფ. პ. მელიქიშვილი საზოგადოებაში წაიკითხავს მოხსენებათა მთელ სერიას. პირველი მოხსენება შესდგება დღეს, 13 იანვარს, საღამოს 7 საათზე ეროვნულ (ყოფ. ფრეილინის) ქ. № 11 შემდეგ თემაზე: „ჩვენი ყველები" დასწრება არაწევრთაც შეუძლიათ.

ბრძოლა ბოროტ-მოქმედებასთან.

შრომის მაგიდა აქვეყნებს იმ პირთა მეორე სიას, რომლებიც მომარაგების ფონდიდან სურსათ-სანოვაგეს უკანონოთ იღებენ. 1. აბაშიძე კლეოპატრა—ირიცხება საოლქო სასამართლოს ძირითად და დამატებით სიებში, 2. აირაპეტოვა მაკარი—ტრამვაის ძირითად და დამატებით სიებში, 3. გორდიაშვილი ვერა—ტრამვაისა და ორთაჭალის სახალხო გვარდიის შტაბის სახელოსნოს სიებში, 4. ფრუიძე ვარლამი—საბინაო განყოფილების ძირითად და დამატებით სიებში, 5. ლიხალაკოვი ალექსი—ქალაქის საბჭოს სასურსათო განყოფილების ძირითადსა და დამატებით სიებში, 6. პოპოვი ადამი—სამხედრო სამინისტროს სასურსათო მაღაზიის ძირითადსა და დამატებით სიებში, 7. ცქიტიშვილი ნინო—ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში და სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელ ექსპედიციაში, 8. დემუროვა მარია—ცენტრალურ კოოპერატივის ძირითადსა და დამატებით სიებში, 9. შერაძე მარიამი—სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელ ექსპედიციაში და ფოსტის კანტორაში, 10. მინდორაშვილი ალექსანდრე—სახალხო გვარდიის განმანაწილებელ განყოფილების ძირითადსა და დამატებით სიებში, 11. ამილიძე ეკატერინე—ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხანაში და თფილისის ერობაში, 12. მარისოვი ალექსანდრე — სამხედრო სასანიტარო მატარებელში № 1 და ტელეფონის ქსელში, 13. ჯორბენაძე ფილომონია—ცენტრალურ კოოპერატივში და მეორე საავადმყოფოში, 14. ლისინოვა მარიამი—პირველ კომისარიატში და ლისიციანის გიმნაზიაში, 15. ვილამოვა მარიამი—სახალხო გვარდიის სამმართველოში და დასახიჩრებულ მხედართა კავშირში, 16. ლიაპუსტინა მარიამი—მეათე სამომრიგებლო რაიონში და ნოტარიალურ არქივში, 17. პაპიაშვილი ზაქარია—მთავრობის გარაჟში და ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებაში, 18. დელიანიძე ივანე—ტრამვაის ძირითადსა და დამატებით სიებში, 19. ალშიბაია გიორგი—მე 7 და მე 2 კომისარიატში, 20. რევაზაშვილი ელენე—ბოტანიკურ ბაღში და დებიუკის თამბაქოს ქარხანაში, 21. მაკარიანი მიკირტიჩ—ტრამვაის ძირითადსა და დამატებით სიებში. აღნიშნულ პირთ შეეწყვეტებათ ულუფის მიცემა და პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი.

შესწორება: წინა სიაში გამოცხადებული იყვნენ ლიანოზოვა ეკატერინე და პოპოვა ეკატერინე. საქმის გამორკვევამ დაამტკიცა, რომ ეს პირნი სიაში შეცდომით იყვნენ გამოქვეყნებულნი. (ს. დ. ს.).

მუშათა მაგიდაში

მუშათა მაგიდა, შეუდგა თბილისის მუშათა და მოსამსახურეთა ახალი წესით რეგისტრაციას. ამისათვის დაიბეჭდა ახალი ბლანკები საპირადო ბარათებისა, რომელთა დარიგება უკვე დაიწყო. ბარათის შედგენა ევალება დაწესებულების ადმინისტრაციას. შევსებული ბარათები მხოლოდ იანვრის 18-მდე მიიღება. დაწესებულებანი, რომლებიც არ წარმოადგენენ თავის თანამშრომელთა პირად ბარათებს, პირველ თებერვლიდან აღარ მიიღებენ პურსა და სხვა პროდუქტებს. მუშათა და მოსამსახურეთა ბარათები უნდა შეივსოს თანახმად შემდეგი ინსტრუქციისა: 1) პირადი ბარათი უნდა წარმოდგენილ იქმნას თითეულ მუშა მოსამსახურეზე ორ ეგზემპლიარად 2) ამის გარდა ყოველ მოსამსახურის წევრებზე თითო სულზე (თვით მოსამსახურეზედაც ცალკე) წარმოდგენილი უნდა იქმნას თითო საალფავიტო ბარათი. 3) თუ მუშა მოსამსახურე თხოულობს ულუფას დედ-მამაზე ან და ძმებზე მისი პირად ბარათთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქმნეს შესაფერი მოწმობებიც თანახმად არსებულ წესებისა. 4) განხილვის შემდეგ პირადი ბარათის ერთი ეგზემპლიარი უბრუნდება ჯგუფის წარმომადგენლის საშუალებით დაწესებულებას. 5) დაწესებულება ინახავს მთელი მუშა-მოსამსახურეთა პირად ბარათებს ცალკე საქმეში და აუცილებლად შეაქვს ყოველივე ცვლილება, რომელსაც აწვდის მუშათა მაგიდა თავისი ცნობებით. 6) თუ რევიზიის დროს დაწ.-წარმოებაში რომელიმე მუშა მოსამსახურეს არ აღმოაჩნდა მისი პირადი ბარათი ამ მუშა მოსამსახურეს შეუწყდება მუშათა მაგიდიდან ულუფის მიცემა. 7) როცა დაწესებულების წარმოებას ემატება ახალი მუშა მოსამსახურე დამატებით უნდა წარმოდგენილ იქმნას მისი ბარათები თანახმად ამ ინსტრუქციის 1, 2 და 3 პუნქტებისა. თუ დაწესებულება-წარმოებას აკლდება მუშა-მოსამსახურე, მაშინ დაწესებულებიდან წარმოდგენილ უნდა იქმნეს მისი პირადი ბარათი წარწერით „დათხოვნილია". 8) თუ მუშა მოსამსახურეს ემატება ან აკლდება სარჩენი სული ამის შესახებ მაგიდაში შემოაქვთ უბრალო წერილობითი განცხადება და დასამტკიცებული დაწესებულების ან კავშირის მიერ შესაფერი მოწმობებით და მისი პირად ბარათის შესასწორებლად. 9) პირადი ბარათები შეკრებილი უნდა იქნას ალფავიტის წესზე, საალფავიტო ბარათები კი პირად ბარათებზე. 10) ჯგუფის და დაწესებულების №№ აღინიშნება მაგიდაში, ამიტომ ნომერების ალაგი წარმოდგენის დროს დაუწერელი უნდა იქმნას. 11) სხვა ყველა მუხლები როგორც პირადი, აგრეთვე საალფავიტო ბარათებისა აუცილებლად უნდა იქმნას შევსებული დაწესებულების უფროსი და მოსამსახურეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მიერ მათი ბეჭდის დასმით. 12) ჯგუფის წარმომადგენელი ვალდებულია იქონიოს ჯგუფში შესული დაწესებულება-წარმოების სია. მათი მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობის აღნიშვნით. 13) დაწესებულება წარმოების მუშა-მოსამსახურეთა ბარათები შემოაქვს მაგიდაში თვით დაწ.-წარმოებას. 14) კერძო და საზოგადო დაწესებულება-წარმოებანი ვალდებულნი არიან წარმოადგინონ მხოლოდ იმ მუშა-მოსამსახურეთა ბარათები, რომლებიც არსებულ სიებით უკვე იღებენ პურს და რომელზედაც შემოტანილია საფონდო გადასახადი. 15) შესახებ იმისა თუ ვის აქვს უფლება ისარგებლოს იაფ-ფასიანი სურსათ-სანოვაგით ძალაში რჩება არსებული წესი (იხ. ინსტრუქცია). 16) იმ პირის ბარათი, ან და იმ დაწესებულება წარმოების ბარათები, რომელნიც ამ წესით არ იქნება შედგენილი, მაგიდის მიერ განხილული და მიღებული არ იქნება და ამ ბარათების პატრონები მაგიდიდან ვერაფერს მიიღებენ. (ს. დ. ს.)

საზომი და საწონი.

საზომ საწონთა პალატა ამით აცხადებს, რომ ყველა საზომსა და საწონს უნდა ჰქონდეს პალატის მიერ დასმული დაღი, რის გამო ყველა სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებს, აფთიაქებს, საწყობებს, ფაბრიკებს, ქარხნებს კონტორებს, ბანკის პატრონებს და სხვა კერძო, საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებს ევალებათ წარმოადგინონ შესამოწმებლად და დაღის დასასმელად ყველა სასწორი, საქნები, არშინები; ღვინის, სპირტის, არყის, ლუდის და რძის საწყობები: ბოჩკები წყლისა, ლუდისა, არაყისა და სხვა, ესე იგი ყველაფერი, რითაც კი იწყვება, იზომება და იწონება რამე საქონელი, რომელსაც ან სულ არ აქვთ პალატის მიერ დასმული დაღი, ან 1918 წლამდე შემოწმებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ვინც ვადის გათავებამდე ამას არ შეასრულებს, რევიზიის დროს ამ გვარ დაღიანი ან უდაღო ყველა საწონი და საზომი პატრონთ ჩამოერთმევათ და თვით პატრონნი პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი. შესამოწმებლად და დაღის დასასმელად საზომ საწონთა პალატაში წარმოდგენილი საზომები და საწონები უნდა იყოს სწორი, ე. ი. უტყუარი. იმ საზომ საწონთ, რომელთა მეპატრონეც არ დააკმაყოფილებს კანონის მოთხოვნილებას, დაღი არ დაესმება და შემოტანილი გადასახადი პატრონთ არ დაუბრუნდებათ.

(ს. დ. ს.)

ჩვენი კორესპონდენტები

ქ. დუშეთი.

სამსახურის გამო დუშეთში გახლდით და მინდა გადმოგცეთ ჩემი შთაბეჭდილებანი.

დუშეთისთანა უპატრონო ქალაქი მეორე არ მოიძებნება ჩვენ რესპუბლიკაში; გარეგნობით, რომ შეხედოთ, ასე გვგონებათ, დუშეთს არაფერი არ სჯობიაო, მაგრამ ქალაქში რომ შეხვალთ, გული წაგიხდებათ. უნდა ვსთქვათ რომ ამ პატარა ქალაქში არის ყოველ გვარი დაწესებულება, მაგრამ ყველა ეს თითქოს მოსაჩვენებლად არის. არავითარი წესი და განათლება არ ეტყობა აქაურ ცხოვრებას. თუ შევადარებთ აქაურ ინტელიგენტის და სოფლის გლეხებს, მათ შორის დაინახავთ ცოტა განსხვავებას. სამკითხველო კი არის ქალაქში, მაგრამ გაზეთი კვირაში ან ხუთმეტ დღეში ერთხელ არ მოდის, სამკითხველოში წიგნები არ არის, თეატრი უმოქმედოთაა. ეს ყველაფერი იმიტომაა, რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია არავითარ ყურადღებას არ აქცევს ქალაქის ცხოვრების და უმეტესად დაინტერესებულია იმით, რომ უზრუნველჰყოს თავისი თავი, რის გამოც ქალაქი სიბნელეშია ჩაფლული და მეტის მეტ ცუდ მდგომარეობას განიცდის. უპირველეს ყოვლისა, უნდა მივაქციო მკითხველის ყურადღება იმას, რომ ამ ბოლო დრომდე ქალაქს არ ჰყოლია მილიციის უფროსი; ყოფილა სამ თვის წინეთ ვიღაც იმერელი, მაგრამ ქალაქის მოურავის და იმის შორის მომხდარა რაღაცა უკმაყოფილება და ამიტომ იმას დაუნებებია თავი; მხოლოდ უკანასკნელ დროს, ქალაქის თავის მიერ იქნა დანიშნული ვიღაცა კავკავიდან ჩამოსული ლტოლვილი რუსი, რომელიც სრულიად არ შეეფერება თავის დანიშნულებას სახელმწიფო ენის უცოდინარობის გამო.

ქალაქის მილიციის უყოლობისა გამო ქ. დუშეთში დანიშნულ თბილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების სესიის საქმეები ყველა გადაიდო, ვინაიდან მოწმეებს უწყებები თავისდროზე ვერ ჩაბარეს.

უპატრონობის გამო დუქნებში ჭუჭყისაგან არ შეიხედება, ქუჩები არ არის განათებული და ტალახითა და სხვა ჭუჭყითაა სავსე; ერთი სუფთა სასტუმროს და სასადილოს კაცი ვერ ნახავს... ცხოვრობენ არაჩვეულებრივად: კაცი კაცს არ ეკარება და ყველა თავისთვის ჩაკეტილია, ერთი მეორეს გაურბის.

მეტად საინტერესოა ადგილობრივი მცხოვრებლების დამოკიდებულება სასამართლოსთან. როგორც მოგეხსენებათ, სასამართლო არაფრათ მაიჩნიათ, უნდა ვსთქვათ გლეხობა სასამართლოს წინააღმდეგიც კი არის და სასამართლოს დარბაზში არ გამოცხადდებოდნენ არც ბრალდებულნი, თუ საწინდრის ქვეშ არ იყვნენ გაშვებულნი და არც მოწმენი.

ძლიერ ცუდათაა დაყენებული აქ სურსათ-სანოვაგის საქმე. კვირაში ერთხელ იციან ბაზრობა, მაგრამ რით განდით? ფულით კაცი ვერაფერს ვერ იყიდის; რაიმე რო იყიდოს კაცმა, მას უსათუოთ უნდა ჰქონდეს ან მარილი და ნავთი და ან ძველი ტანისამოსი, თუ ეს არ გაქვთ, შიმშილით მოკვდებით, ვინაიდან სოფლებიდან მოტანილი სურსათით ცხოვრობენ ქალაქში; ქალაქში არის ერთი სასადილო, სადაც შეუძლია კაცს, თუ ფული აქვს, ისადილოს ხუთას მანეთად, ისე რომ შიმშილით არ მოკვდეს, მაგრამ სიკვდილიც მოსალოდნელია, თუ ღვარძლიანი პური შეეხვდა. ცხადია, ზემოაღნიშნულ დეფექტებს მუდამ ექნება აქ ადგილი, თუ ადგილობრივი ადმინისტრაცია არ იქნება შეცვლილი, ვინაიდან ის სრულიად არ არის დაინტერესებული ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებით და ცდილობს სპეკულიაციის გავრცელებას.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი სამწუხარო ფაქტი, რომელიც ჩაიდინა დუშეთის სამაზრო ერობის გამგეობამ ჩვენი მეზავრობის საქმეში, რასაც ყოველ დღეს აქვს აქ ადგილი. დუშეთის გამგეობის ეტლით მოვდიოდით, თბილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების სესიის შემადგენლობა. თითო ჩვენთაგანმა გადაიხადა ორი ათასი მანეთი, მაშინ, როდესაც იქიდან მცხეთამდე კერძო ეტლზე მივეცით თითომ ასი თუმანი.

ტყვილად არა აქვს აქაურ ხალხს ცუდი წარმოდგენა დუშეთის ერობაზედ!

სამურზაყანოელი.

წერილი რედ. მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

ამ დღეებში უდროოდ გარდაიცვალა ჩვენი მგოსნის არ. ევდოშვილის პირმშო ვაჟი. ვანო ხოსიტაშვილი, ერთად ერთი ნუგეში უმწეოდ დარჩენილ მგოსნის ოჯახისა. ევდოშვილის ქვრივს დარჩა კიდევ სამი ქალიშვილი. ჯოჯოხეთურია მათი ცხოვრება, ნახევრად შიშველ ტიტველნი არიან ლუკმა პურის მონატრულები!

ქართველი საზოგადოება მწუხარებით შეხვდა ევდოშვილის ოჯახის ასეთს უბედურებას და გამოიღო თავისი წვლილი. აქვე გახლავთ შემომწირველთა სია:

ალექსანდრე პოპიაშვილი 15000 მან. ძმანი მირიანაშვილები. 7000 ხუთას ხუთასი თუმანი: ძმანი კორიაშვილები ალექსი ძიგველოვი. ალექსანდრე ნადირაშვილი, სერგო სიმონოვი, მიხეილ სესიაშვილი, ორას ორასი თუმანი: მიხეილ მატიაშვილი, ვანო არუთინოვი, მიშა დონჯაშვილი ნიკო აბშტელი, გ. ხელაშვილი პარ. გელაშვილი დიმიტრი და სიმონა მირინაშვილები, ისაკა ალხაზიშვილი. ას ასი თუმანი: ის. სტურუა, ალექსი ზარიძე, სორწილიანი, ნიკო პრელიაშვილი, იაგორ იაგორიევი, ტოფრომ ტარუაშვილი, ნიკოლოზ გოგინაშვილი, მ. ბაზარული. ორმოცდა ათათი თუმანი: ილია აგლაძე, იოსებ ნაცვლიშვილი, გ. ნიკოლაშვილი, გ. ახრახაძე.

დიდმადლობას ვუძღვნი რა შემომწირველთ ვიმედოვნებ, რომ საზოგადოება არ დაივიწყებს წამებულ მგოსნის ევდოშვილის ოჯახს და ყოველთვის მიაწვდის თავის წვლილს უკაცროდ დარჩენილ ოჯახს. მისამართი: ვაჟა მანანა ევდოშვილისას და ჩემთან, ნიკოლოზის ქუჩა 7.

პატივისცემით სანდრო შანშიაშვილი.

---

*) რედაქციამ ფული უკვე მიიღო.

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი: სპ. კედია.

სამკურნალო
ელექტრონის რენტგენის და სინათლის,
მიხეილ გედევანიშვილისა
დღისით 12—2 საათ. საღ. 6—8 საათ. არის საწოლებიც. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე. ტელ. 9—71. 3102. თვ.

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგან, კისრის, ცხვირის და ყურის ავადმყოფობის.
ავადმყოფებს მიღება დილის 12—1 ნახ. საათამდე, მადატოვის ქუჩა № 7, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ.
ტელეფ. 16—65; 1. 7—49

ექიმი
რეზო მაჩაბელი
კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სისტემით) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 საათ. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11—12 ს. დღის, მოსკოვის ქუჩა № 4. ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 3268

დაბრუნდა და გაახალა ავადმყოფების მიღება
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვების ავადმყ. ელექტრონით წამლობა.
ავადმყ. მიღება საღ. 5-7 ს, ანასტასიას ქუჩა № 3 ტელეფ. 9—31.
№ 3207.

ექიმი
ა. ე. ლევანშტეინი.
იღებს რენტგენისა და ელექტრონით შინაგან სნეულებით ავადმყოფთ და აგრეთვე აწარმოებს რენტგენის სხივებით შინაგან ორგანოთა და ჰრილობათა გამოკვლევას. წამლობა დიდი ძალის ტოკით. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა 3. ტელ. 12-46.
მიღება 11-12 და 4-7 საათამდე.

თვალების ავადმყოფობის
ექიმი
მ. გოლშტეინი
სათვალეების შერჩევა. ავადმყოფების მიღება დილის 8 ს-დან 11 ს-მდე; საღამოს 2—7 საათამდე.
ნიკოლოზის ქ. № 32

ექიმი
ა. ს. ჯავრიშვილი
სიფილისი (606—914 შეშხაპუნება), კანისა, ვენერიული და საშარდო ორგანოს სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს 8—9 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი. ოლღის ქუჩა, № 3, მელიქ-აზარიანცის სახლი. 3

ექიმი
ე. ი. კალანდაძე.
ღებულობს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს დილის 8—12 ს. ვენერიული სიფილისი (შეშხაპუნება 606 და 914) და საშარდე ორგანოთა საღ. 5—7 ს. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქუჩ. კუთხე ზემმელის აფთიაქთან.
ტელეფ. 18—95. 3228

ქუთაისი
ექიმი
ისაკ იაკობის-ძე
მინოვიჩი
ღებულობს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ.
ყოველ დღე დილის 10-12 ს. და საღამ. 5 7. ს. ქარვასლის ქუჩა, № 5 (მწვანე ბაზარი) ბინა ყოფილი ქ. პოლოშვილისა № 3208.

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, პლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ის სხივებით. პლექების აპარაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე და საღ. 6—8 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 28, ტელეფონი 7—92. 3314

კბილის ექიმი
ნიკოლოზ თეიმურაზის ძე
ხორავა
ჩამოვიდა მოსკოვიდან და იღებს კბილით ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილით 10—2 საათ. და საღამოობით 4—7 საათამდე. ვერის დაღმართი (ოლღის ქუჩის კუთხეზე) სახლი № 1. მელიქ აზარიანცის ბინა № 20 ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო მთავარი-ექიმი
ი. გ. ქუთათელაძე
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (სავს) ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. პირთ ცხვრის სახულე—შილას ავათმყოფობას ჰკურნავს „ნეიმანის და ვესსელის" მეთოდებით. ვიძლევი დარიგებას „ზოოტექნიკაზე" (საქონლის მოვლა-შენახვა). დილის 9—10 საათ. და დღის 3—5 ს. მელინსკის ქუჩა № 39, ბინა 2